სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი 31 ივლისი 1918 წ.

ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 160 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 160

ღრმად დამწუხრებულნი დედა სირინოზი, ძმები კონსტანტინე, მიშა, მელენტი, რძალი აგრაფინა და საშა, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 1 აგვისტოს ქ. ფოთის ადგილობრივ სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოთ და გმირულად დაკარგული ბალშევიკთა ბრბოსთან შეტაკების დროს ახალ ათონში

ვალოდია წურქაიას

სულის მოსახსენიებლათ (1—1)

დამწუხრებულნი ბიცოლა ელენე და ბიძია პავლე, შვილები მართა, პასიკო, ლავრენტი, ვალერია, რძალი ნადია შვილებით. გიორგი, ვალიკო და დათო წურქაიები და ეფროსინე და გრიშა თუთბერიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 1 აგვისტოს ქ. ფოთის ადგილობრივ სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი ბალშევიკების ბრბოს მიერ გულგანგმირული

ვალოდია წურქაიას

სულის მოსახსენებლათ (1—1)

ჩოხატაურის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია აუწყებს ამხანაგებს გარდაცვალებას ძვირფასი ამხანაგის

ივანე (ვანო) ლუკას ძე ქლენტისას

დასაფლავება მოხდება ს. ჯვარცხმაში ხუთშაბათს, 1 აგვისტოს. (1—1)

მუშათა კლასი და ეკონომიური ორგანიზაციები

შემთხვევა გვქონდა და ჩვენ უკვე აღვნიშნეთ მბეჭდავ მუშათა პროფესიონალურ კავშირის შემცდარი ნაბიჯი, რომელიც მის ულტიმატუმში გამოიხატა. დასახელებული კავშირი რომ ვერ სდგას სწორ გზაზე და ორგანიზაციულათ სუსტია, ეს ნათლათ დაამტკიცა იმ უთანხმოებამ, რომელმაც ამ ბოლო დროს იჩინა თავი: კავშირის მეთაურთა შორის საგოვო გახდა ენათა თანასწორობის საკითხი და ქართველი მუშები ამაოდ უმტკიცებდენ პოლიტიკით გატაცებულ ზოგიერთ რუს სომეხ კოლეგებს, რომ ყველა ქართველს არ ესმის რუსული ენა. თუ ასე სუსტია ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირი, რა იქნება სხვა, შედარებით უფრო ჩამორჩენილ მუშათა კავშირებში? საუბედუროთ ბევრი დარგია ისეთი, რომ კავშირი სულაც არ აქვთ.

ეს, რასაკვირველია შემთხვევითი მოვლენა არ არის. რუსეთის დიდმა რევოლიუციამ საპატიო ალაგი მიანიჭა მუშათა კლასს, როგორც ყველაზე უფრო თავგანწირულ მებრძოლს. მუშათა კლასის გავლენას დაემორჩილენ და მისდამი პატივისცემით გაიმსჭვალენ ისეთი საზოგადოებრივი კლასები და ჯგუფები რომლებსაც მასთან საერთო არაფერი აქვთ. ასე იყო რუსეთში. ასე მოხდა ჩვენშიაც: ქართველი სამღვდელოება, რომელსაც მხოლოდ ავტოკეფალია ახსოვდა; ქართველი ნაციონალისტები, რომელნიც რუს მოხელეთადმი სიძულვილით იყვნენ აღვსილნი; ქართველი გლეხობა, რომელიც მხოლოდ მიწას ეტრფოდა, ყველანი მუშათა კლასს ამოუდგნენ გვერდში, რადგან ხედავდენ რომ მისი ბრძოლა რუსეთის ბიუროკრატიის წინაამდეგ მათაც უკაფავდა გზას. ამიტომ არის, რომ მუშების ეკონომიურ მოთხოვნებს დღესაც თითქმის უსიტყვოთ ემორჩილება ყველა. ამიტომ არის, რომ მუშები ხშირათ არც კი კითხულობენ, თუ რა მოუვა წარმოებას, როცა თავის მოთხოვნებს უყენებენ მწარმოებლებს და რაკი შედარებით ადვილათ აღწევენ მიზანს, ამიტომ არც დიდი მოთხოვნილება აქვთ შექმნან ეკონომიურ ორგანიზაციები.

ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი „პრივილეგიური" მდგომარეობა მუშათა კლასისათვის მომავალში მოისპობა და ის განმარტოებული დარჩება ბრძოლის ველზე. ბურჟუაზია და ბურჟუაზიული ინტელიგენცია მას დღესაც ალმაცერათ უყურებს, ხოლო გლეხობა ექვი არაა, განზე გადგება, როცა მიწას მიიღებს. კაპიტალისტები შეუდგებიან სიმდიდრის შეგროვებას და რაკი ტეხნიკის გაუმჯობესებას ბევრი დრო და ფული უნდა, ამიტომ პირველი მათი იერიში მიმართული იქნება სამუშაო ხელფასის დაცემისაკენ.

გარდა ამისა დღეს დიდი ზარალი მოსდის მწარმოებელს იმის გამო, რომ მუშების ერთი ნაწილი პირნათლათ არ ასრულებენ თავის მოვალეობას; თუმცა რვა საათის სამუშაო დღეა შემოღებული, მაგრამ არიან ისეთი მუშები, რომელნიც მხოლოდ სამ ოთხ საათს მუშაობენ და დანარჩენ დროს ლაზღანდარობაში ატარებენ. ეჭვი არ არის, მომავალში კაპიტალისტი შეეცდება ამ დანაკლისის ანაზღაურებას. და თუ დღეს ის ადვილათ უთმობს მუშას იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ის გადამეტებულ მოთხოვნილებას აყენებს, მომავალში, როცა კაპიტალისტი მეტ გავლენას მოიპოვებს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ის სასტიკ ბრძოლას გააჩაღებს.

ამისთვის საჭიროა მუშათა კლასიც აღჭურვილი იყოს შესაფერი ძალით, რომ კაპიტალისტების უსაზღვრო მადას ფრთები შეაკვეცოს. ეს კი მტკიცე ორგანიზაციის შემწეობით შეუძლია მას. მაგრამ მტკიცე ორგანიზაციის შექმნა ერთი და ორი დღის საქმე არ არის. საჭიროა ხანგრძლივი და სისტემატიური მუშაობა.

ამ მუშაობას დღესვე უნდა შეუდგენ: სუსტი კავშირები უნდა გაძლიერდეს, დანგრეული აღდგენილ იქნას, სადაც სულ არ ყოფილა მოწყობილი, ახლა უნდა მოეწყოს.

ეს საქმე ქართველმა მუშებმა უნდა ითავონ. რუს სომეხ მუშების ერთი ნაწილი რუსული ორიენტაციით არის გატაცებული, მათ, საუბედუროთ, არ შეუძლიათ, კავშირის სწორ გზაზე დაყენება. ქართველ მუშების დიდი ნაწილი კი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მისდევს, ინტერნაციონალურ ტრადიციებით არის გამსჭვალული. ამიტომ მათ ყველაზე უფრო ეხერხებათ კავშირებში საღი ინტერნაციონალიზმის შეტანა, რაც ასე საჭიროა დღეს, როცა რუს-სომეხ მუშათა ერთი ნაწილი ინტერნაციონალურ ენათ აცხადებს რუსულს და ქართველების ელემენტარულ მოთხოვნას ნაციონალიზმის სახელით ნათლავს. ასეთი ვაჟბატონების წინააღმდეგ სასტიკი და ენერგიული ბრძოლაა საჭირო, რადგან ისინი ინტერნაციონალიზმის სახელით ელვირ ახსნილ ნაციონალიზმს აპატონებენ და მუშათა სოლიდარობის საქმეს ძირს უთხრიან.

მუშათა კლასმა უკვდავ ჰყო თავისი სახელი თვითმპყრობელობასთან ბრძოლით. მაგრამ ამით მან უმთავრესათ ბურჟუაზიის საქმე გააკეთა.

საჭიროა, მან თავის საკუთარ საქმესაც მოკიდოს ხელი. ეს არის მუშათა ორგანიზაციების შექმნა და გამაგრება.

და როცა ამას შეასრულებს, მისი ბუნებრივი განვითარება უზრუნველყოფილი იქნება.

ჩვენც აქეთკენ მოვუწოდებთ მას.

თავისუფალი ვაჭრობა

ორი ძალა სასტიკათ შეებრძოლა ერთმანეთს.

სპეკულიაციამ უშიშრათ გაშალა ფრთა, რაც უმთავრესათ პურის გაძვირებაში გამოიხატა.

მთავრობამ გადასწყვიტა მისი ალაგმვა: მოეწყო სასურსათო ორგანიზაციები, აიკრძალა პურის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა და გადატან გადმოტანა. კომიტეტებმა თითონ იკისრეს პურის შეძენა. მაგრამ სპეკულიანტებმა მაინც გაიმარჯვეს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ კავკასიიდან პურის შემოზიდვის საქმე ჩაიშალა.

ზოგი გულუბრყვილობით და ზოგიც დემაგოგიურის განზრახვით ამტკიცებს, ვითომ კომიტეტების უვარგისობის ბრალი იყოს, რომ იაფი პური ვერ მიაწოდეს მცხოვრებლებს. მაგრამ მოვიგონოთ ის თვეები, როცა თფილისში შავი პური ყველას ქონდა როგორც მდიდარს, ისე ღარიბს და არავის არ შეეძლო მეტი პურის შეძენა. იმ დროსაც იგივე კომიტეტები მოქმედებდენ, რომლებიც დღეს არიან: მაგრამ მაშინ მოდიოდა პური გარედან, დღეს კი არ მოდის და რაკი ბაზარზე საკმაო პური არ არის, ამიტომ არავითარ ძალას არ შეუძლია მისი გაიაფება რეგლამენტებით და დეკრეტებით.

ამიტომ მოვითხოვდით ჩვენ პურით ვაჭრობის თავისუფლებას და პურის შემოტანას საზღვარ გარეთიდან.

როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში იყო აღნიშნული, მთავრობას დაუდგენია: გაუქმდეს ყველა სასურსათო კომიტეტები, მოიხსნას ყოველგვარი აკრძალვა პურის თავისუფალ ყიდვის და გადატან-გადმოტანის წინააღმდეგ მიმართული. იმავე დროს მიენდოს სათანადო სამინისტროებს სასტიკი ზომები მიიღონ სპეკულიანტების წინააღმდეგ: დაატუსაღონ და პასუხისგებაში მისცენ გადამალულ პურის პატრონნი, ხოლო ასეთი პური უფულოთ ჩამოართვან მათ.

ამ რიგათ გამოცხადდა თავისუფალი ვაჭრობა პურით და სხვა ხორბლეულობით. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს სპეკულიაციის თავისუფლებას. ჩვენ ვიცით, რომ გლეხი თუმცა ძვირათ ჰყიდის პურს, მაგრამ სპეკულიანტის წყალობით ეს პური ერთი ათად გაძვირებული აღწევს ჩვენამდე. მთავრობამ თითონ უნდა შეიძინოს პური და ჩარჩებს ჩამოართვას, სადაც კი ჩარჩობის და სკულიაციის ნიშნებს შეამჩნევს. ამით მომხმარებელს საშუალება ეძლევა პირდაპირ გლეხისაგან შეიძინოს პური, ხოლო მთავრობამ თავის მხრით ხელი არ უნდა აიღოს პურის პარტიობით შეძენაზე.

თუ ამ ზომას დაემატება საზღვარ გარეთიდან პურის შემოტანა, ჩვენ დაზღვეული ვიქნებით სასურსათო კრიზისისაგან.

იმედია, ჩვენი საზოგადოებრივი და რევოლიუციონური ორგანიზაციები დახმარებას აღმოუჩენენ მთავრობას პურის ყიდვაში და სპეკულიანტებთან ბრძოლაში.

წინააღმდეგ შემთხვევაში არსებული სიძვირე კიდევ უფრო გაიზდება და ხალხის ღარიბი ნაწილი უკიდურეს გასაჭირში ჩავარდება.

დაბრმავება ურჩევნიათ...

ჩვენებური თეთრი და ყვითელი გაზეთების ფურცლები მუდამ ერთი და იმავე აზრით იწყება და თავდება—„დაიღუპებით". თითქო მათთვის გადაშლილი იყოს ჩვენი ბედის წიგნი და შიგ კითხულობდენ იმას, რასაც სწერენ; თითქო მათი ენით თვით იღბალი ლაპარაკობდეს; თითქო სწუხდენ კიდევაც ჩვენი მომავლის გამო.

მართლა კი მათ დაბრმავება ურჩევნიათ, ვიდრე ჩვენი უკეთესი დღეების ნახვა და წარმოდგენა. ამისათვისაა, რომ ვერაგულათ უძვრებიან მკითხველს გულში და ჩასჩიჩინებენ—„Delendam est, delendam est"-ო *).

ყველაფერი გააკეთეს ქვეყნის დასალუპავათ, საკუთარ ხელებით ყელები გამოლადრეს და დღეს უნდა მათ მივბაძოთ, მათი ბედი გავიზიაროთ, თუმცა არაფერი საბუთი არა გვაქვს ასე მოვიქცეთ.

გახვეულან უანგარო პეშმარტების მოყვარის სამოსელში და ყრანტალობენ: ვაი, ვაიო".

ნუ თუ მართლა უიმედოა საქმე?

აოც იქ, როგორც ისინი ამბობენ, ე. ი. როგორც მათ სურთ.

მართლაც, ვინც კი ჩვენ ცხოვრებას ამ უკანასკნელ დროს თვალს ატანდა, იმისთვის ადვილი დასანახავია, რომ იმ პირველყოფილ ქაოსიდან, რომელიც გამეფებული იყო ამ რამდენიმე თვის წინათ, შეიქნა „რაღაც", და მას ყველა სასიცოცხლო ნიშნები აქვს.

ვისი ბრალია თუ განგებ თვალებს იხუჭავენ? რა ვქნათ თუ ეს სასიცოცხლო ნიშნები მათი სიკვდილის მომასწავებელია?

სახელმწიფოებრიობის და საზოგადოებრიობის სიკვდილი ანარქიაშია.

ჩვენც ვიყავით სასიკვდილო სარეცელზე, მაგრამ კრიზისი გადავიტანეთ: ბოლო მოეღო ომს და ამით არევ-დარევის უმთავრესი მიზეზიც მოისპო.

ამით, რასაკვირველია, ყველაფერი არ გაკეთებულა, მაგრამ დაიბადა იმედი ყველაფრის გაკეთებისა. არის მომენტი, როდესაც „ყველაფერს" „არაფერიდან" ერთი პატარა ხაზი საზღვრავს: ეჭვი არაა, ჩვენი ბედის სასწორი სასიკეთოსკენ გადაიხარა. მართალია, ერთნაირი რყევა მაინც დარჩა. ასეთი იყო ბალშევიზმის გამხრწნელი გავლენა ჩვენ ჩამორჩენილკუთხეებზე და უნდა გამოვტყდეთ, მდგომარეობა სახიფათო იყო, ვინაიდან, როგორც ეს დღეს მოღებულია, მტერი მოყვრის სახით მოგვიახლოვდა და ჩვენ წინააღმდეგ ჩვენივე იარაღი აიღო.

მაგრამ სწორედ აქ მოიტეხეს კისერი.

დაბრმავებულებსაც თვალები აეხილათ, ხალხმა კარგათ დაინახა, თუ რა ჭრელი გველი შემძვრალიყო მის წმინდათა-წმინდაში.

არც მთავრობა ყოფილა ისეთი რბილად აგებულების, როგორც მათ ჰქონდათ წარმოდგენილი. მისი ხერხემალი საკმაოდ გამაგრებული გამოდგა, ნება უდრეკი და საჭირო დროს მან სთქვა სიტყვა, რომელიც შეჰფერის სახალხო მთავრობას, სიტყვა მმართველის, და ვისთვისაც დემოკრატიული მთავრობის ბრძანება არ ხმაურობდა ისე, როგორც კანონი, მან ფიზიკურათ იგრძნო მისი ნებისყოფილობა, გაიგო, რომ თავისაგდების დრო გასულა.

ხალხის ორგანიზმიც საკმაოდ საღი გამოდგა მასში შესულ საწამლავთან საბრძოლველათ. გაისმა ხრამებში ზარბაზნების მრისხანე ღმუილი თუ არა, ჩვენი მთების არწივებმა თვით დასრისეს ის ქვემძრომები, რომელნიც მათ კლდეებზე და ბუდეებში შეპარულიყვნენ.

ერთ მეტად საგულისხმო რამეს აქცევს ყურადღებას ამხ. ლ. ემუხვარი. ის ხედავს, რომ ერის ორგანიზმი ეწევა მშენებლობის, თავდაცვის საქმეს, მაგრამ მაინც პესიმისტობს, ამ მშენებლობაში; ამ ბრძოლაში ვერა ხედავს „სახელმწიფოებრივობას". მაგრამ ჩვენ სხვანაირათ ვუყურებთ საქმეს. ჯერ ჩვენი „საზოგადოებრივობა", „სახელმწიფოებრივობა" და სხ. არ ჩამოყალიბებულა იმ სახედ, რომელიც მას უნდა შერჩეს რევოლიუციის დასრულების შემდეგ. ამ ტრანსპორმაციის პროცესში, ამ დუღილში იქნება ყველაფერი არ არის ისე, როგორც ამას თეორია, ან პრაქტიკული მიზანშეწონილობა მოითხოვს. რა ვუყოთ! ცხადია მხოლოდ ერთი რამ: დემოკრატიულ წყობილებაში სახელმწიფოებრიობის და საზოგადოებრიობის საზღვრები ძალიან უახლოვდებიან ერთი-მეორეს, ვინაიდან სახელმწიფო საზოგადოებისათვისაა, მის საქმეს აკეთებს, მასთან კავშირით არის ძლიერი.

ნამდვილი დემოკრატიზმი იქ არის, სადაც ერს შეუძლიან სთქვას—„სახელმწიფო—ეს მე ვარო" თუ ეს ასეა, მაშინ დიდი უბედურება არ იქნება იმაში, თუ სახალხო წითელი გვარდია შეუდგება საზღვრების დაცვას სახელმწიფოს საქმეს გააკეთებს არსებითად საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ან თუ ფედერალისტების მებრძოლი რაზმი ამბოხებულებთა ბრბოებს შემუსრავს, მით უფრო, რომ დღეს ამ ნაწილების უმაღლესი ხელმძღვანელი მაინც სახელმწიფო და მისი ორგანოებია. აქ დემოკრატია თავისი ნებით და სურვილით უდიდეს მსხვერპლს სწირავს სახელმწიფოებრივობას—რაშიაც მხოლოდ სიკეთის და სიმწიფის ნიშანი ჩანს.

მეტად მნიშვნელოვანია დღეს საღი ჯარის შექმნა. ჩვენში იტყვიან—სახეიროს კოჭებში შეეტყობაო. მართლაც, გამოცდილი თვალი ერთი შეხედვით დააფასებს ასე თუ ისე ჯარის ნაწილის ნაკლსა და ღირსებას. ჩვენი ჯარის გამოკეთების გარეგანი ნიშნები ადვილი დასანახავია, მაგრამ ამას გარდა ჯართან ახლოს მდგომნი ერთხმათ ამტკიცებენ, რომ ჯარში იქმნება სასურველი, საღი სულიერი განწყობილება და ანარქიამ აქ მოჭამა თავისი დღენიო.

და ასე, ანარქიას ყველგან ნიადაგი ეცლება, ჩვენი რესპუბლიკა მაგრდება, და ვისაც ამის დანახვა აგიჟებს, ვისაც ეს აუტანელ ტკივილებს აყენებს, მას ურჩევნია დღესვე დაითხაროს თვალები: თორემ საფიქრებელია, რომ ჩვენი მომავალი კიდევ მეტ მწუხარებას მიაყენებს მას.

ალფა ც—ძე.

---

*) უნდა დაინგრეს, უნდა დაინგრესო.

პრესა

თავის ქება და ჩვენი ძაგება სნეულებად აქვს გადაქცეული „საქართველოს" რედაქციას. მაგრამ არა ერთხელ ამ ხელობას თვითონ იგინი ჩაუგდია უხერხულ მდგომარეობაში. ასე დაემართათ მათ წარსულ ეროვნულ საბჭოს კრებაზედაც.

მ. მაჩაბელმა განაცხადა, რომ სოფლის კომისრად კმარა სოფელმა ერთი კაცი აირჩიოს და ადმინისტრაცია მას დაამტკიცებსო. ასეთივე შესწორება გვქონდა განზრახული ჩვენც.

მაგრამ ეროვნულ-დემოკრატებს, მიუხედავად იმისა, რომ იძახიან ჩვენ სახელმწიფოებრივი პარტია ვართო, უბრალო პარლამენტარიზმის წესიც არ ცოდნიათ. ამათ არ იციან, რომ შესწორება უნდა შეიტანონ პრეზიდიუმში. მათ არ ჩაიდინეს ეს. ხოლო ჩვენ შევიტანეთ შესწორება, როგორც ამას წესი მოითხოვდა. ახლა გამომდგარა „საქართველო" და პირიქეთ გვიკიჟინებს: თქვენ შესწორება შეიტანეთ და ჩვენი სახელი არ მოიხსენეთო. ბატონებო, თქვენ თვით რათ ვერ მოახერხეთ საკუთარი შესწორების შეტანა. საერთოთ ამ პარტიის წევრი რომ შესწორებას განაცხადებს, მხარის დაჭერა შეუძლებელი ხდება იმიტომ, რომ არასოდეს მას წესიერ ფორმას არ მისცემენ. ასეთი იყო მაგალითად მათი შესწორება ზ. ქათალის შესახებ.

შთაბეჭდილება ასეთი გვრჩება, რომ ამ პარტიის წევრებს როცა კრების დროს მოუვათ აზრში იმას განაცხადებენ, წინასწარ განზრახული და წერილობით ფორმულაში ჩამოსხმული შესწორება ან დამატება მათი მხრიდან ჯერ არც კი შემოტანილა. მართალია ეს წვრილმანია, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ: „მცირესა ზედა სანდო თუ იქნები, მრავალსა ზედა დაგჯითო შენო", უთქვამს ქრისტეს. ეროვნულ-დემოკრატები მცირე საქმეშიაც გამოუსადეგარი არიან, უბრალო პარლამენტის წესრიგი დღემდე ვერ შეუთვისებიათ და მთელი სახელმწიფო მათ როგორ უნდა ანდოს კაცმა? მარტო სოც.-დემ. ძაგება ხომ არ კმარა სახელმწიფოს ასაშენებლად?

* * *

„ტრუდოვოე ზნამია"-ში ვინმე პ. აბელიანი, გაცხარებული იცავს ამიერ-კავკასიის მთლიანობის აღდგენის საჭიროებას.

> „ხელოვნურად გახლეჩილ ამიერ-კავკასიის შეერთება ერთა ძმობისა და მშრომელთა ინტერესების სოლიდარობის საფუძველზე გამოიყვანს ჩვენს მხარეს იმ დახუთული ატმოსფერიდან, და უჩვენებს მას გზას, რომელიც მიიყვანს მას არა მარტო ფიზიკური არსებობის შერჩენამდე, არამედ განვითარებამდეც"...

სრულიად სამართლიანი აზრია და არ შეგვიძლია ჩვენ მას არ დავეთანხმოთ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ამას წინეთ ასეთი შეერთების საჭიროება და მივუთითეთ ზოგიერთ საჭირო ზომებზე ადგილობრივ დემოკრატიას.

ბ. პ. აბელიანი ზომებს არ ასახელებს. იგი მხოლოდ აღნიშნავს საჭიროებას და გვეუბნება, რომ პირველად უნდა სომხეთ-საქართველოს შეერთებას ექნეს ადგილიო. ჩვენ არც ამის წინააღმდეგ გვაქვს რაიმე. ძნელია გათვალისწინება იმის, სამთაგან, რომელი ორი შეერთდება სხვაზე უწინ, მაგრამ ერთი კი აშკარაა: შეერთდება ის ორი, რომელთაც საერთო შინაური და საგარეო პოლიტიკის ხაზი აღმოაჩნდებათ. თორემ თუ ერთი ერის მესვეურნი ალთას მიიწევენ და მეორესი კი ბალთას—შეერთება არა თუ არ მოხდება პირიქით გათიშვის ტენდენცია გაძლიერდება.

აი, მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკაში არავინ არ იბრძვის სომხის რესპუბლიკის არსებობის და განვითარების წინააღმდეგ. ამ რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიას დაშნაკცუტუნს კი თფილისში მთელი თავისი ენერგია ჩვენი რესპუბლიკის დამხობისაკენ აქვს მიმართული. მათი პრესა დღე და ღამე ამაზე გაჰკივის იმ მტრებთან ერთად, რომელნიც რუს ჩინოვნიკებისა და სხვა უკმაყოფილო ელემენტებისაგან შესდგება.

ცხადია, თუ სომხის დემოკრატიამ თავის ბედი ასეთ მესვეურთ დაუტოვა ხელში, შეერთება მეტად გაძნელდება.

თუ სომხის მმერთველობა მეგობრულ განწყობილებას გამოიჩენს და საერთო ხაზის შემუშავებას შეეცდება საქართველოს დემოკრატიასთან, გაერთიანების იდეა ადვილად გაიმაგრებს ფესვებს და კიდეც განხორციელდება.

საქართველოს დემოკრატია მზათაა ძმური ხელი გაუწოდოს ყველას, ვინც დემოკრატიის და შინაური ფრონტის გამთელებას დაუჭერს მხარს. ქართველ ნაციონალისტების უკუღმართ საქციელს ის თვითონ ამოსდებს ლაგამს.

მხოლოდ სომხის და ადერბეიჯანის ნაციონალისტები, რომელნიც ერთმანეთს ჰკოცნიან და ხალხს კი ერთმანეთის ყელის დასაჭრელათ აქეზებენ, ვერ არიან საამისოთ გამოსადეგი მასალა.

სომხის და მუსულმან დემოკრატიის საქმეა ამ გამოუსადეგართ შესაფერი ადგილი მიუჩინონ. მაშინ შეერთებაზე ბევრი ლაპარაკიც არ შეიძლება.

ვიმეორებთ, დემოკრატიას ყველგან ერთი პოლიტიკა აქვს, ნაციონალისტებს კი ყველგან განსხვავებული და ერთი-მეორის მოწინააღმდეგე. ამიტომაა შეერთებისთვის ნაციონალისტების გაკოტრება საჭირო.

და პ. აბელიანმაც ამას უნდა მიაქციოს ყურადღება, თუ მას მართლა სურს შეერთებაზე ზრუნვა და მარტო ზოგადი ნაწერით არ კმაყოფილდება.

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

29 ივლისი.

მოსკოვი. მოკლული გრაფი მირბახის ნაცვლად გერმანიის ელჩად მოსკოვში დაინიშნა გელფერიხი.

სოხუმი. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ დეპეშა მიიღო სოხუმიდან, რომლითაც აფხაზთა ეროვნული საბჭო ატყობინებს, რომ საბჭომ შესაძლებლათ ვერ სცნო ჯერ-ჯერობით დაწესებულებებში ნაციონალიზაციის გატარება. დაწესებულებებში ოფიციალურ ენათ რჩება რუსული ენა. მოხელეებს ხელწერილი ჩამოართვეს, რომ სინდისიერათ ემსახურებიან აფხაზებს და სხ. სკოლების შესახებ ნაციონალიზაციის საკითხი იმ მცხოვრებთა სურვილის თანახმად უნდა გადაწყდეს, რომელ რაიონშიაც სკოლა არსებობს, გარდა გიმნაზიისა და საქალაქო სკოლებისა, რომელთაც მთელი მხარისთვის აქვს მნიშვნელობა და რომელთა შესახებ საბჭო საკითხს ამ ახლო ხანში გადასწყვეტსო.

შულავერი (ბორჩალოს მაზრა). ოსმალთა ემისარები ცხარე აგიტაციას ეწევიან ბორჩალოს მაზრის მუსულმანებში ოსმალეთის სასარგებლოთ. ბევრ სოფლებში განაჩენები გამოაქვთ ოსმალეთთან შეერთების სასარგებლოთ.

სიღნაღი. კახეთში პურზე სპეკულიაცია უაღრესად განვითარდა. ხორბალს ყიდულობენ 50—60 მანეთად და უფრო ძვირად. ხშირად ხორბალზე სცვლიან ძველ ტანისამოსს, ლურსმანს და სხ. 5—6 გირვანქა შაქარში იძლევიან ერთ ფუთ ხორბალს. სპეკულიანტებს იმედი აქვთ, ფასები კიდევ გაიზრდება პურზე და ან შეიძლება ჩამოგვართვანო და ამიტომ პურს ორმოებში ინახავენ.

30 ივლისი.

ბერლინი. ბელის ოლქში შემოტევის შემდეგ მტერმა დასტოვა 12 ავტომობილი. ყველა ფრონტებზე განსაკუთრებით კი მდ. ენსა და მარნას შუა, როცა მტერი იერიშებით მოდიოდა ავტომობილებით, ყოველთვის დიდი ზარალი მოსდიოდა.

ბერლინი. 19 და 20 ივლისს ინგლისელთა აეროპლანებმა თავს დაესხნენ ძონ-

ტიგეიმს და რეინის დაბლობის ზოგიერთ ქალაქებს. ყუმბარების მეტი ნაწილი მინდვრათ ჩაყარეს. სამხედრო ზარალი არავითარი არ მოუტანია მათ თავდასხმას..

მოსკოვი. გელფერიხის გერმანეთის ელჩად მოსკოვში დანიშვნის შესახებ „ვეჩერნი ჩას"-ი სწერს: გელფერიხის ელჩად დანიშვნა იმის მომასწავებელია, რომ გერმანია დიდ ყურადღებას აქცევს რუსეთთან მეგობრული კავშირის განმტკიცებას. გელფერიხის ელჩად დანიშვნას საბჭოთა წრეებში კარგის თვალით უცქერიან. ბერლინში მყოფი საბჭოს მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებით გერმანიაში მოწადინებულნი არიან განამტკიცონ რუსეთთან სალი ეკონომიური დამოკიდებულება.

გაზეთი „ნაშ. ვეკ." ი სწერს: ამერიკის ჯარების მთავარი სარდლობა წინააღმდეგია ციმბირში ექსპედიციის გამოგზავნისა ვინაიდან ამ ჟამად ბრძოლა სწარმოებს დასავლეთ ფრონტზე და ახლა ციმბირში ჯარების გაგზავნა კიდევ უფრო გააძლიერებდა გადასაზიდ საშუალებათა ნაკლებობასო.

მოსკოვი. „ნიინია ვეჩერნიცა" 26 ივლისის თარიღით შემდეგს იუწყება: „გზებში განუწყვეტლივ მიდიან ამერიკელთა გემები. ყოველგვარ ზომებს ღებულობენ ქარხნების ასაშენებლათ, აღრმავებენ ზღვის ნაპირებს გემების შემოსასვლელად, გაჰყავთ რკინის გზები და აშენებენ საზამთრო ყაზარმებს ადგილობრივ მცხოვრებთაგან ადგენენ დამზვერავ რაზმებს. თითოეულ კაცს დღეში აძლევენ 10 მან. ჯარების უფროსები არ მალავენ, რომ ჯარების ადგილობრივათ მოწყობის შემდეგ აქტიური მოქმედება დაიწყება ფინლიანდიის წინააღმდეგო.

ბერლინი. კერძო ხასიათის შემოტევა ლისის, სკარპის ჩრდილოეთით და სომის ჩრდილო ნაპირად მოვიგერიეთ. მდინარე ენის სამხრეთით შუადღემდე საწყნარე იყო. ვილლერ მონტუართან შუადღემდე მოვიგერიეთ მტრის ძლიერი იერიში. 27 ივლისს ღამით ჩვენ დავსტოვეთ ბრძოლის ველი მდ. ურკსა და არდრობს შუა და გავამაგრეთ ხაზი შარ-ენ-ტარდენვასა და ვილენ-ტარდენუას მიმართულებით. ჩვენი ჯარების გადაჯგუფება მტერს არ შეუმჩნევია. გუშინ მტრის კავალერია შეეცადა მოახლოვებოდა ჩვენს პოზიციას, მაგრამ ჩვენმა რაზმებმა ისინი გარეკეს. ჩვენმა უკან წამოყვანილმა ჯარებმა წინ წაიწიეს და დაიკავეს წინანდელი ხაზი. აქ მტერი სასტიკი იერიშებით მოვიდა, მაგრამ ჩვენ მოვიგერიეთ.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტი. გუშინ მთელი დღის განმავლობაში მთელს ფრონტზე გაძლიერებული სროლა იყო: ინგლისელებს ყველა იერიშები მოვიგერიეთ. მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. იერუსალიმ ნაბლურის გზის ორივე მხრით საარტილერიო სროლა იყო, იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირად ჩვენ მტრის სასაპირო ჯარებს ვესროდით.

მოსკოვი. ტაშკენტი. თურქესტანის საბჭოს. კოლესოვს. 10 ათასი წითელგვარდიელის გამოგზავნის შესახებ განკარგულება გაცემულია. ოპერაციების გამგე (?)

მიწის საკითხი *)

ჩვენს პრესაში თავისუფალი კამათია იმის შესახებ, თუ ვის უნდა გადაეცეს მემამულეებისაგან ჩამორთმეული მიწა-წყალი. ამ კითხვის მიზან შეწონილად გადაჭრით რამოდენიმე ათეულ წლების განმავლობაში ეძლევა ახალი მიმართულება ჩვენი ქვეყნის სოციალურ და ეკონომიურ განვითარებას. ჩვენთვის სადაო არ არის, რომ ძველ მიწათ-მფლობელობის საფუძველზე აშენებული მეურნეობა, განსაკუთრებით ზოგიერთ კუთხეებში, ჩარჩულ ხასიათს ღებულობდა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას ერთ დონეზე აჩერებდა. რა ხასიათის უნდა იყოს მომავალში მაინც ეს მიწათმფლობელობა.

მიწა უნდა გადაეცეს ადგილობრივ თვითმართველობას, უნდა მოხდეს მისი მუნიციპალიზაცია, ვამბობდით ჩვენ; ჩვენ კარგათ ვიცოდით ზოგიერთ გლეხის სიყვარული კერძო საკუთრებისადმი, მაგრამ ამ მიდრეკილებას ჩვენ ვგრძნობდით. ჩვენი მდგომარეობა მით უფრო იყო ხელსაყრელი, რომ დღეს მუნიციპალიზაციის იდეია ფართოდ გავრცელებულია ევროპაში და მას აურეველი მიმდევარი ყავს დემოკრატიულ წრეებში. განსაკუთრებით ამ ომის დროს ადგილობრივი თვითმართველობა იძენდა მიწებს, მის ხელში გადადიოდა დროებით მეაკუთრის მიერ დაუმუშავებელი მამული და ეს კოლექტიური ერთეული ეწეოდა რაციონალურ მეურნეობას. ასე ხდებოდა „იქ", გერმანიაში, საფრანგეთში და სხვაგან. ეს მოვლენა აღინიშნა მეცნიერებაში ახალი ტერმინით, მას უწოდეს „ურბანიზაცია". სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ევროპაში სოციალური პირობები ამ პროცესისთვის საკმაოდ მომზადებულია, ჩვენში კი ბევრი ელემენტი გვაკლია, მაგრამ საერთო მიმართულებას ეს ვერ შეაჩერებს. გვინდა, თუ არ გვინდა ჩვენ მონა ვართ ევროპის.

ჩვენი საზოგადოება იცნობს მეორე პროგრამას აგრარულ საკითხში. ეს არის ნაციონალიზაცია. მიწის პატრონი ხდება მთელი ერი, სახელმწიფოს სახით. არც ეს აზრია რუსეთის მიერ მოგონილი. პრუსიას ეკუთვნის ტყეები და ზოგიერთი მადნეულობა. ამ სიმდიდრეს სახელმწიფო განაგებს. ჩვენ ვებრძოდით რუსეთში ამ პროგრამის განხორციელებას ორი მოსაზრებით: ჩვენ არ გვინდოდა გაგვეძლიერებია რუსეთის სახელმწიფოებრივი აპარატი აუარებელი ქონებით, რომ მთელი რუსეთის ბურჟუაზიულ (თუნდ რადიკალურ) მთავრობას ბოროტად არ ესარგებლნა მის ხელში ჩავარდნილი აუარებელი სიმდიდრით მშრომელი ნაწილის წინააღმდეგ. მეორე მოსაზრება ის იყო, რომ ცენტრალურ მთავრობას ხელოვნურად არ მოეწყო განაპირა მხარეებში გადასახლება სახელმწიფოს მიწა-წყალზე და ამით ეროვნული შეხლა-შემოხლა არ გაემწვავებინა.

ჩვენის აზრით, ეს ორი მიზეზი საქართველოს რესპუბლიკისთვის აღარ არსებობს. მისი ცენტრალური მთავრობა რეაქციონური მისწრაფებით გაძლიერებული მხოლოდ დროებით შეიძლება იქნეს. ეროვნულ შუღლსაც ის ვერ გააღრმავებს. ხოლო პოლიტიკურ მიმართულებათა შორის ბრძოლა მიწის უკეთესად გამოყენებისთვის, საუკეთესო საშუალება იქნება ხალხის პოლიტიკურად აღზრდისთვის. ამნაირად, დღევანდელ პირობებში, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გამოცხადდეს მიწის ნაციონალიზაცია. მესაკუთრე ჩამორთმეული მამულის იქნება მთელი ერი და მისი უმრავლესობა ისე მოაწესრიგებს მის დამუშავების პირობებს, როგორც მას სურს ხვალ შეიძლება ის იყოს ლიბერალურ-რადიკალურ უმრავლესობის ხელში, ხოლო ზეგ ის უსათუოდ სოციალისტურ უმრავლესობის ხელში გადავა, როდესაც სოციალისტები შეეცდებიან უკეთესი და ხელსაყრელი გეგმა წარუდგინონ ამომრჩევლებს. რაც შეეხება მიწის ადგილობრივ გამგეობას, ეს უნდა გადავიდეს ერობის ხელში სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ.

ის ჩვენი ამხანაგები, რომელნიც იცავენ მიწის კერძო საკუთრებათ გადასვლას სოფლის მუშის ხელში, უთავრესად ხელმძღვანელობენ პოლიტიკური მოსაზრებით. ამ ნაირად სურთ დასცენ პოლიტიკური გავლენა მსხვილი მიწათმფლობელების. ამასთან ერთად ჩარჩული, პარაზიტული ნიადაგი გამოაცალონ ჩვენს მიწათ მოქმედებას. ეს მართალი აზრია. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მსხვილი მიწათ მფლობელობა განწირულია, რა ნაირი მიმართულებაც უნდა მიიღოს ჩვენმა რევოლიუციამ. ხოლო ფიქრი იმაზე, რომ უფასოდ ჩამორთმეულ მამულების ფასს ვერ აინაზღაურებს თავად აზნაურობა, თუ რესტავრაცია მოხდა, ისტორიულად მოუგზელია. საკმარისია დროებით ჩაიგდოს მართვა-გამგეობა გაბატონებულმა კლასმა, რომ სუბსიდიის, ან სხვა სახით, გადაუხადოს ფული მსხვილ მესაკუთრეებს ასეთი მაგალითი იყო საფრანგეთში.

ცოტა რამ საფრანგეთზე. მკითხველებმა უნდა იცოდნენ, რომ საფრანგეთის ეკონომიურ ჩამორჩენას, სხვათა შორის ხელს უწყობს წვრილი მესაკუთრეების წარმოშობა დიდი რევოლიუციის ნანგრევებზე. ჟორესი თავის ცნობილ ისტორიულ შრომაში დიდ შეცდომათ სთვლის მიწის მფლობელობის ასეთ დაქუცმაცებას. საჭირო იყო, მისი აზრით, ზოგიერთ ადგილების საზოგადო საკუთრებად გამოცხადება. შეიძლება ჩვენშიც ზოგიერთ ადგილას, ზოგიერთ მამულის კერძო საკუთრებად გადაცემა. ადგილობრივი პირობების მიხედვით, ეს შეიძლება მიზანშეწონილიც იყოს. მხოლოდ ასეთი გეგმის საერთო პრინციპად გამოცხადება და რეფორმის საფუძვლად დადება—არ იქნება თანამედროვე ცოდნის მიხედვით საკითხის გადაჭრა. ამხანაგებმა, სხვათა შორის, არ უნდა დაივიწყონ ერთი გარემოება. ევროპის ეკონომიურ-სოციალური ცხოვრება კოლექტიურ წარმოებისკენ მიდის მიუხედავათ დღევანდელი რეაქციისა, ეს პროცესი განუწყვეტლივ სწარმოებს. ჩვენი ფეოდალური წრეები ამას ვერ აშინებენ. მათთვის „ურბანიზაცია" ახალი სიტყვაა. ჩვენთვის ეს უტყუარი ფაქტია და ამას ვერ გააბათილებს ვერც ლოიდ ჯორჯის დროებითი დიქტატურა, ვერც ყოფილი მინისტრი ფონ კიულმანის მოღვაწეობა. როდესაც ეს პროცესი ძლიერად აჩენს თავს ევროპაში, საზოგადო საკუთრების წყალობით ჩვენ მას ადვილად შევითვისებთ.

ბ. თეკლათელი.

---

*) ავტორის აზრს რედაქცია არ იზიარებს. რედ.

საქართველოს მთავრობის ულტიმატუმი

(დასასრული).

ზვიაგინი მე მაკვირვებს ამხ ბუტაევის განცხადება; შეუძლებელია ასეთი განცხადების ბაზრული ლაპარაკით დასაბუთება, უნდა გქონდეს ოფიციალური საბუთები; თუ მართლა ქართველები მოდიან, მათ უკან ხომ თათრები მოდის. გამოდის, რომ ყაზახები ოსმალეთის ორიენტაციას იზიარებენ.

ბულლე. არაფერი არ არის გასაკვირი ბუტაევის განცხადებაში; ქართველები ოსმალებს ებრძვიან. ქართველებთან ერთად მოდიან არა ოსმალონი, არამედ—ნემცები, რომლებმაც კავშირი შეჰკრეს იმ შავრაზმელ ყაზახობასთან, რომლებსაც მეთაურობს კრასნოვი. ამიტომ გვაქვს საფუძველი ვსთქვათ, რომ დონის მოძრაობას სულს უდგამენ ბერლინიდან. ის, რაც მოხდა დონზე, შესაძლებელია მოხდეს თერგზედაც. ქართველების ჯარი ამ შემთხვევაში გერმანელების საქმეს აკეთებს; გერმანელები დაინტერესებულნი არიან ჩვენი პურით; ისინი ეხლა ნიადაგს იმზადებენ. დასასრულ, ბულლე წინადადებას იძლევა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ ულტიმატუმს გაეცეს ღირსეული პასუხი.

ორჯონიკიძე. ქართველებს ოსმალონი არ მოჰყვებიან. მიგითითებთ მაგალითებზე: როცა ოსმალონი ბათუმისკენ დაიძრნენ, მაშინ გერმანიამ უბრძანა თავის ჯარებს რკინის გზები აეყარათ; მეორე მაგალითი—გერმანიის და საქართველოს ჯარები ებრძოდნენ ასკერებს. ასე რომ, ოსმალეთის ორიენტაცია აქ უნიადაგოა. ჩვენ ვიცით, რომ დონზე ყაზახები და ნემცები ერთად მოქმედებდნენ საბჭოების მთავრობის წინააღმდეგ. მათი სოლიდარობა გამოიხატა იმაში, რომ როცა ჩვენი ჯარები უტევდა ნემცებს, მაშინ ყაზახთა არტილერია ჩვენს სანგრებს ესროდა. ნემეცების და ყაზახების შორის სოლიდარობას ამტკიცებს ისიც, რომ გენერალი კრასნოვი ერთ ერთ თავის ბრძანებაში ამბობს: „გუშინდელი ჩვენი მტრები, დღევანდელი მეგობრებია. მე არ ვამტკიცებ, რომ ბიჩერახოვის მოქმედებანი საქართველოს მთავრობის ულტიმატუმით შებოჭვილია, მაგრამ მათი მოქმედებანი ხელს უწყობენ ქართველებს და ნემცებს. ეს უეჭველად ასეა. ქართველებმა იციან, რომ ახლა აქ სწარმოებს სამოქალაქო ომი, ხდება საბჭოების მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება და თერგის რესპუბლიკის ძალები განეულია და სხვა. ეს მდგომარეობა ქართველებს ჩინებულად გაუთვალისწინებიათ. ყაზახთა პოლკები რომ რკინის გზას არ ანადგურებდნენ, მაშინ ჩვენი ძალები დარიალის ხეობაში იქნებოდნენ.

გრიგორიევი (ადგილიდან) „ჩვენ არა გვყავს პოლკები".

ორჯონიკიძე.—საბჭოების მთავრობის საწინააღმდეგოთ გყავთ, ხოლო ქართველების—არა? დამიმტკიცეთ მე, რომ სამოქალაქო ომი ქართველებს არ უწყობს ხელს ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრაში, დამიმტკიცეთ, რომ ჩვენს შინაურ ფრონტზე გაგზავნილი ზარბაზნები არ ეხმარებიან ქართველებს; არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ გვაქვს ბუნებრივი სიმაგრეები საქართველოს სამხედრო გზაზე და თუ შესაფერი წინააღმდეგობა გავუწიეთ, არც ერთ ეშმაკს არ შეუძლია გამოსვლა იქიდან. რაც შეეხება საკუთარი უფლებების დაცვას, რომლებზედაც ლაპარაკობს გრიგორიევი, მე უნდა განვაცხადო, რომ არავისთვის უფლება არ წაურთმევიათ. თუ თქვენ მეთაური კლასის უფლებებზე ამბობთ, მაშინ სხვა საქმეა, მაგრამ თქვენ გვიჩვენეთ ისეთი შემთხვევა, როცა მშრომელებს წაართვეს უფლება? ასეთი შემთხვევა არ ყოფილა და თქვენ ამაზე ვერ მიგვითითებთ. მე წინადადებას გაძლევთ თქვენ უთხრათ საქართველოს მთავრობას თერგის რესპუბლიკას, რომ ეკადრებოდეს ისე, შემდეგი: ჩვენ ვართ ნაწილი რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკისა და მოლაპარაკება შეუძლია საქართველოს აწარმოოს მხოლოდ რუსეთის ცენტრალურ მთავრობასთან.

ზვიაგინი მე ვეკუთვნი ყაზახობას, განსაკუთრებული პოლიტიკური სკოლა არ გამივლია, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ ამ შემთხვევაში შეუძლებელია თერგის და დონის ერთმანეთთან შედარება, ვინაიდან თერგის ყაზახობა არასოდეს არ ყოფილა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგი. ის მხოლოდ იბრძოდა თავის უფლებებისათვის, რომლებსაც არღვევდა მუშათა დეპუტატების საბჭო, ეცოდინება, რომ პიატიგორსკის რაიონში მდებარე ადგილებში ყაზახებს იარაღი აჰყარეს. ყაზახობა ყოველთვის მზათ არის შეებრძოლოს გარეშე მტერს, მხოლოდ მიეცით მას საშვალება მოეწყოს ორგანიზაციულათ.

ბოგდანოვი. ლაპარაკი თუ მტკიცება იმისა, რომ ჩვენ რევოლიუციონერები ვართ და თუ საქართველოს მთავრობის მოთხოვნილებები დავაკმაყოფილეთ, ჩვენ ვხდებით სხვის ნების ლაქიებათ, მონებათ, არ არის მართალი. რუსეთის რევოლიუციის ისტორია ამას უკეთესად დაამტკიცებს, მაგრამ მე თქვენ მიგითითებთ ერთ ხელშეკრულებაზე, რომელმაც მოატყუა და არა თუ თერგის ოლქი, არამედ მთელი რუსეთი. ჩვენ ვიცით რა პირობებში მოხდა ბრესტის ხელშეკრულების დადება და ახლა, როცა ვარჩევთ საქართველოს მთავრობის ნოტას ამ საკითხთან უნდა მივიდეთ არსებითად. არავის არ უნდა დავუწამოთ რამე. სახალხო კომისართა საბჭო და თერგის სახალხო საბჭო არაფრით ნაკლებ არ არის დაინტერესებული მთავრობის ავტორიტეტის გამაგრებაში. და თუ ლაპარაკობენ საკუთარი უფლებების პატივისცემაზე, მაშინ სხვის უფლებებსაც უნდა სცე პატივი. გამოვდივარ რა ამ დებულებიდან, ვამბობ, რომ თუ ჩვენ ხელშეკრულება დავდევით საქართველოს მთავრობასთან, პატივი უნდა ვსცეთ ამ ხელშეკრულებას. სახალხო საბჭოს არ შეუძლია იმ ხელშეკრულების უარყოფა. კარგი იქნებოდა ჩვენ რომ ცენტრალურ მთავრობა გვფარველობდეს, მაგრამ ჩვენ ხომ საკუთარი თავის ანაბარათ ვართ მიტოვებულნი. სხდომა რომ დახურულ კარებში ყოფილიყო, მაშინ სამხედრო კომისარი ბევრს ისეთს გაცნობებდათ, რომ იარაღის ჟღარუნზე ფიქრს თავს დაანებებდით. არ შეეფერება სინამდვილეს, რომ აქ არ არიან ტყვეებათ საქართველოს მოქალაქენი, მე ვიცი, რომ ჩამოვიდნენ ქართველი საზოგადოების წარმომადგენელნი და გვითხრეს, რომ ქართველები დაკავებულნი არიან და სხვისი ხარჯით ცხოვრობენ. ჩვენ რევოლიუციონერები ვართ და არ შეგვიძლია დახმარება არ აღმოვუჩინოთ ყველა დევნილ რევოლიუციონერებს, მაგრამ დაუშვებელია, როცა კომუნისტების საოლქო კომიტეტი ერევა შინაურ საქმეებში. დაუფარავათ რომ ვთქვეთ, აქ სწარმოებს ორ პოლიტიკურ პარტიათა შორის ბრძოლა; ჩვენ კი მოწოდებულნი ვართ დავიცვათ არა მარტო ორი პოლიტიკური პარტიის ინტერესები, არამედ ყველა მცხოვრებლების. რომ არ დაიჩაგროს და შევიწროვდეს თერგის ოლქის მცხოვრებთა ინტერესები, სახალხო საბჭომ ყოველივე ღონე უნდა იღონოს ომის თავიდან ასაცილებლად. არ შეეფერება სახალხო საბჭოს მთავრობას შიმშილობის დროს ყურადღება არ მიაქციოს ქართველებს, რომლებიც არ სცნობენ თავის მთავრობას და სხ. ჩვენ, სოციალდემოკრატებმა, მარქსისტებმა ვიცით, რომ არაფერი არ აიძულებს ხალხს აკეთოს რევოლიუცია ისე, როგორც ეს შეუძლია შეგნებას და მატერიალურ წაქეზებას. ჩვენ რევოლიუციონერები ვართ და ვიცით როგორ უნდა მომზადდეს რევოლიუცია. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ იმაში, რომ საბჭოთა მთავრობამ ბრწყინვალეთ გაიმარჯვოს და ეს მოხდება, რადგანაც მას მთავარი დადებითი მხარეები აქვს. მე თვითონ ვიყავი აჯანყებულ ქართველ გლეხებში, ისინი ყველა იმედებს ჩვენზე ამყარებდნენ, მაგრამ მე ვიცოდი ჩვენი ძალების მდგომარეობა და ვეუბნებოდი გლეხებს: „იმედი გქონდეთ მხოლოდ საკუთარ ძალების". მე მახსოვს ქართველ აჯანყებულ გლეხთა წარმომადგენელნი დიდ იმედებს ამყარებდნენ თერგის ოლქის დაპირებებზე, მაგრამ მე მათაც ვუთხარი: „იმედი გქონდეთ მხოლოდ საკუთარი ძალების". მე მინდოდა, რომ სახალხო საბჭოც ამ თვალთახედვის ისარზე დამდგარიყო. ამხ. ორჯონიკიძეს სურს ერთგვარი გავლენა მოახდინოს ამ საკითხის გადაჭრაში, მაგრამ თუ თერგის ოლქის სახალხო კომისართა საბჭომ შეცდომები დაუშვა, მაშინ ორჯონიკიძე ვერას გვიშველის. მე წინადადებას ვიძლევი ეხლავე ავირჩიოთ დელეგაცია და შევუდგეთ საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებას, სახალხო კომისართა საბჭოს მივანდოთ განიხილოს ყველა ის მოთხოვნილებები, რომელიც აღნუსხულია ნოტაში.

პაშკოვსკი. მე ვსთხოვ ამხ. ბოგდანოვს დაასახელოს როდის იყო ჩვენთან ქართველების დელეგაცია და თუ იყო, მე ის არ მინახავს.

ფიგატნერი. მე, როგორც შინაგან საქმეთა კომისარმა, არაფერი არ ვიცი იმ მატერიის ნაჭრებზე, რომლებიც დაუტაცნიათ აჯანყების დროს ყაზბეგში. მე არა ვარ ვალდებული დამცველი რაზმი დავაყენოთ საქართველოს ტერიტორიაზე. მეორეს მხრით, უნდა ვსთქვა რამოდენიმე სიტყვა ტყვეებზე. მართალია, 23 ქართველი ჯარისკაცი გადმოვიდა ჩვენს ტერიტორიაზე და იარაღი დაჰყარა. ეს ჯარისკაცები გაეგზავნა სამხედრო კომისარს შესანახად. მე არ მესმის აგრეთვე ამხ. ბოგდანოვის გამოსვლა, მან რათ არ მოიწვია სახალხო კომისართა საბჭოს კრება სახალხო საბჭოს წინ და რათ არ გაუკეთა ამის შესახებ ინფორმაცია. მე ვაცხადებ, რომ არც ერთი პასუხისმგებელი კომისარი არ დაპირებია ქართველ გლეხებს და არ უთქვამს დახმარებას აღმოვაჩენთო, მაგრამ საეჭვო არ არის, რომ ჩვენი სიმპატია იმათკენ იხრება, ვინც ჩვენთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული მიდის რუსეთის დემოკრატიის გაერთიანებისაკენ.

ორჯონიკიძე. თუ თქვენ ლაპარაკობთ მოწინააღმდეგის უფლებების პატივისცემაზე, მე გეკითხებით: პატივს სცემენ თუ არა ჩვენს უფლებებს? მე ვამბობ, რომ—არა. მომყავს მაგალითები: 7 ივლისს საქართველოს მთავრობის ჯარებმა წაიყვანეს 37 ჩვენი წითელგვარდიელი, წაიღეს ტყვიისმფრქვეველი და თოფები, მაგრამ ჯერ განა დააბრუნეს? აი მეორე მაგალითიც: საქართველოს მთავრობამ სმოლქო მთავრობის ნებადაურთველათ ხელშეკრულობა დადო პურის აწეულ ფასებში გამოზიდვის შესახებ ოსეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან.

კამათის შემდეგ თერგის სახალხო საბჭომ 10 ხმით 1 წინააღმდეგ (3 თავი შეიკავა) დაადგინა: ეცნობოს საქართველოს მთავრობას, რომ ტყვე ქართველები თერგის ოლქში არ არიან და ნოტის დანარჩენ მუხლების შესახებ გაიმართება მოლაპარაკება.

შეთანხმება საქართველოს და თერგის ოლქს შუა.

ივლისის 25 ს, 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ივანე ლორთქიფანიძის, გერასიმე მახარაძის და ვლადიმერ ჯუღელის სახით, რომელთაც წარმოადგინეს მანდატი ამა წლის ივლისის 19-ის თარიღით, № 8176, და თერგის ოლქის სახალხო საბჭოს წარმომადგენელნი ფრიც ბულე, იაკუბ არსანოვი და გაპურ არხიევი, რომელთაც წარმოადგინეს მანდატი ამა წლის ივლისის 25-ის თარიღ თ № 1628. განვიხილეთ რა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ულტიმატუმი, რომელიც იყო მიღებული ივლისის 23 ს, 1918 წ. № 33, შემდეგი შეთანხმება მოხდა:

I. საქართველოს რესპუბლიკა და თერგის სახალხო კომისართა საბჭო აძლევენ ერთმანეთს სიტყვას, რომ მათ არა აქვთ არავითარი აგრესიული განზრახვანი ურთ-ერთის წინააღმდეგ.

II. რადგანაც თერგის სახალხო კომისართა საბჭომ უკვე გაანთავისუფლა ამბოხების დროს ტყვედ ჩავარდნილი საქართველოს მოქალაქენი — კითხვა ტყვეების შესახებ ჩაითვალოს გადაჭრილად.

III. თერგის სახალხო საბჭო იხმარს ყოველ ძალ-ღონეს და სიტყვას იძლევა, რომ არავითარი შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან საქართველოს რესპუბლიკის მიმართ აგრესიულ მიზნებით, ვისი ხელმძღვანელობითაც არ უნდა იყვნენ ისინი, არ იქნებიან გაშვებული საქ. რესპუბლიკის სამძღვრებისკენ; თავის მხრივ საქ. რესპუბლიკა ვალად რაცხს თავს 26 ივლისისთვის შუადღემდე თავის ჯარს, რომელიც ეხლა სდგას ლარსში, დაახევინოს თავის ტერიტორიამდე.

IV. იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენი ზარალი მიაყენეს საქართველოს რესპუბლიკას შეიარაღებულმა ჯგუფებმა, რომლებიც თერგის ოლქიდან წამოვიდნენ, სდგება შერეული კომისია პარიტეტულ პრინციპზე ერთის მხრივ საქ. რესპუბლიკის წარმომადგენელთა და მეორეს მხრივ თერგის ოლქის სახალხო კომისართა წარმომადგენელთაგან, და თანაც ეს უკანასკნელნი იღებენ ყოველ ღონეს აღმოაჩინონ და დააბრუნონ დატაცებული ქონება, თუ ასეთი იქნება თერგის ოლქში.

V ორივე მხარე მოვალეა უზრუნველჰყოს ყოველგვარი ხიფათისაგან საქართველოს სამხედრო გზაზე თავთავიანთ ტერიტორიაზე: საქართველოს რესპუბლიკა იცავს გზას ყოველგვარ ტაცებისაგან თვის საზღვრამდე, ამ საზღვრიდან კავკავამდე კი გზას იცავს თერგის ოლქის სახალხო კომისართა საბჭო.

VI 7 ივნისს, 1918 წ. ხელშეკრულების ძალით საქართველოს მიერ ნაყიდი სურსათი, თერგის ოლქის საბჭო ვალად რაცხს თავს ან დაუბრუნოს უკან რესპუბლიკას ან და აუნაზღაუროს ფულით. შემდეგი ურთიერთობანი საქონლის გაცვლის შესახებ უნდა გამოირკვეს განსაკუთრებულ თათბირზე ორივე დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენელთაგან.

VII. კომისია, რომელიც მოხსენებულია მე-4-ხე §-ში და თათბირი, მოხსენებული მე 4 ში, § ში, უნდა შესდგეს ამა წლის ივლისის 30-ს ქ. კავკავში.

ხელს აწერენ: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები: გზათა და სასურსათო საქმეთა მინისტრი ლორთქიფანიძე. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გ. მახარაძე. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე ვლ. ჯუღელი. თერგის ოლქის სახალხო საბჭოს წარმომადგენლები: ფ. ბულლე, ი. არსანოვი, გ. არხიევი.

სადგური ძველი ლარსი, თერგის ოლქი.

ახალი ამბები

ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება მოხდება დღეს, საღამოს 8 საათზე. გასარჩევია საყურადღებო კითხვები. სთხოვენ ხმოსნებს აუცილებლათ დაესწრონ.

◆ **მთავრობაში.** მთავრობამ მოისმინა თერგში გაგზავნილ დელეგაციის თავმჯდომარის—გზათა მინისტრის—მოხსენება თერგის მთავრობასთან მოლაპარაკების შესახებ. ამ მოლაპარაკებაზე დადგენილ იქნა დაარსდეს ორივე მთავრობის წარმომადგენლებისაგან შემდგარი შერეული კომისია. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლობა მიენდო სიმ. წერეთელს. კომისიას საერთო საკითხის გარდა, დაევალა გამოიძიოს სოფლელთა ზარალის რაოდენობა.

◆ **სამხედრო მინისტრის** განკარგულებით არსენალის [illegible] ციო ხარჯების დასაფარავად გადაიდო 385 ათასი მანეთი.

◆ **სახელმწიფო კონტროლიორის** წინადადებით, საკანტროლო დაწესებულების ლიკვიდაციისათვის გადაიდო 251 ათასი მანეთი.

◆ **ფინანსთა სამინისტრომ** შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე—გადასდოს 100 ათასი მანეთი ბონების დაბეჭდვის საჭიროებისათვის.

◆ **სასოფლო კომისიაში.** ნიჩბისიდან (გორის მაზრა) სასოფლო კომისიას ატყობინებენ, რომ იქ ხოლერის ნიშნებით რამდენიმე ავათმყოფი მომკვდარა. სასოფლო კომისიამ იქ გაგზავნა ექიმი.

სასოფლო კომისიასთან არსდება ბიბლიოთეკა.

ვინაიდან სასოფლო კომისიას ცნობები არა აქვს თიანეთის მაზრის შესახებ, დაადგინა სთხოვოს მთავრობას გაგზავნოს თიანეთში მთავრობის კომისია ადგილობრივ მდგომარეობის გამოსარკვევათ, რის შემდეგ სასოფლო კომისიას საშვალება ექნება პროპაგანდისტები გაგზავნოს.

◆ **ჯარისკაცთა ყალბი მოწმობები.** ფასანაურიდან პოლკოვნიკ გედევანიშვილისგან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „ერთობის" მე-158 ნომერში მოხსენებული, გარნიზონის მიერ დაპატიმრებული ჯარისკაცები ბათუმის პარტიზანული პოლკისა მიკირტიჩევი, აკოფოვი და კორკატაძე არას დროს არ ყოფილან პოლკში და არც ახლა ირიცხებიან. მათ რომ თან საბუთები აღმოაჩნდათ ყალბათ უნდა ჩაითვალოს.

◆ **გენ. მაიორი ანდრონიკოვი** განთავისუფლებულ იქნა სამხედრო მინისტრის თანაშემწის თანამდებობიდან, მის ადგილზე დროებით დაინიშნა გენ.-მაიორი შენავსკი.

◆ **ფულის გატაცება.** 29 ივლისს ღამის 11 ნახ. საათზე დაჭრილთა კომიტეტის ბინაზე შევიდნენ ყუმბარებით და რევოლვერებით შეიარაღებული 3 უცნობნი და გაიტაცეს 40 ათასი მანეთი.

◆ **მილიციის უფროსს** დაევალა განკარგულება მოახდინოს, არავის არ მიეცეს შიშის გაზეთის ნება თუ სათანადო მოწმობა არ ექნება მიწათ მოქმედების სამინისტროდან.

◆ **ქუთაისში ჩამოვიდა** გერმანიის ჯარის ნაწილი ჰაეროპლანებით და ტყვიის მფრქვეველებით. ქუთაისში მოიტანეს 22 ზარბაზანი, რომელიც გენ. მაზნიაშვილმა ბოლშევიკებს წაართვა ბრძოლის დრო სოხუმის ოლქში.

◆ **რუსი ლტოლვილები.** როსტოვ-ერივნულის საბჭოს ცნობით მცხეთაში მრავლათ არიან ლტოლვილები, ისინი ცდილობენ კავკავში წასვლას, მაგრამ მათ განუცხადეს, რომ კავკავის მიმართულებით გზა შეკრულიაო.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ქალაქის საავათმყოფოში მოიყვანეს 26 ხოლერიანი და 9 საეჭვო, საეჭვოდან ხოლერიანებში გადაწერილ იქმნა 11. საავათმყოფოს და სხვა ნაწილებში ხოლერით ავათ გახდა 1, ორ დღეში მორჩა 24; მოკვდა 18 კაცი.

◆ **დაპატიმრება.** დააპატიმრეს და ციხეში გაგზავნეს პორუჩიკი ილ. ტალახაძე საჩხერეს მოძრაობაში მონაწილე ბოლშევიკი გ. ინოზემცევი, ყოფილი საიდუმლო პოლიციის აგენტი და დ. ა. პოლიფიროვი.

◆ **ბონების ჟიური.** ფინანსთა მინისტრმა მთავრობას აცნობა, რომ ბონების საკონკურსო ჟიურიმ უარყო ყველა წარდგენილი პროექტი. მთავრობამ დაადგინა მიანდოს შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრებს ამაზე თავიანთი შეხედულება გამოსთქვან და საკონკურსო დრო დანიშნონ.

◆ **ქუთაისის გუბერნიის ექიმთა კავშირის** წლიურმა კრებამ მოისმინა რა საექიმო რეორგანიზაციის სხვა და სხვა პროექტი, ერთხმად დაადგინა: რესპუბლიკაში საექიმო სანიტარული საქმის რეორგანიზაციის ხასიათის გადაწყვეტა უნდა ეკუთვნოდეს რესპუბლიკის ექიმთა ყრილობას, რომლის დაჩქარებით მოწვევის ინიციატივა ითხოვს მედიკო-სანიტარულ საბჭოს და ნების დართვა და ხელის შეწყობა კი მთავრობას.

◆ **ექსკურსია ბორჯომში.** სავაჭრო-სამრეწველოებში მოსამსახურეთა კავშირი მომავალ შაბათს და კვირას (3 და 4 აგვისტოს) აწყობს ექსკურსიას ბორჯომში. წარსულ კვირას არ მოეწყო. ჩაწერა შეიძლება: 1) კავშირის გამგეობაში ალექსეევის ქ. № 7 საღ. 6—8 ს. 2) მუშათა კლუბში საღამოს 6—8 ს. და 3) თფილისის კოოპერატივში, ერევნის მოედანი, ამიროვთან დილის 9—3 ს. და საღ. 5 ნახ.—7 ნახ. ს.

◆ **ლექცია და წარმოდგენა.** დღეს 1-ლი რაიონის მუშათა კლუბის შენობაში (ნაძალადევი) წაკითხული იქნება ლექცია „ადამიანი, ერი და კაცობრიობა". წაიკითხავს ილია ნაკაშიძე. ლექციის შემდეგ წარმოდგენილი იქნება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ორი მშიერი“ ეოდ. 1 მოქმ. ლექციის დამსწრენი პიესის საყურებლათ ბილეთს არ იღებენ.

◆ **მ. კავსაძის მომღერალთა გუნდის ხეირნობა კონცერტი**, რომელიც უნდა გამართულიყო კვირას 28 ამ თვეს, გადაიდო კვირას 4 მარიამობისათვის ვერის საქალაქო პარკში.

◆ **ნიჩბისიდან** (გორის მაზრა) სასოფლო კომისიას ატყობინებენ, რომ იქ ჩნდება რაღაც ავათმყოფობა, რომელსაც სოფლელები მუცლის ეძახიან, მაგრამ უფრო ხოლერას წააგავსო. საოლქო კომისია ექიმს გზავნის იქ.

◆ **საჩხერიდან იტყობინებიან**, რომ იქ მოუკლავთ ოკრიბის აჯანყების ხელმძღვანელი ყაჩაღი მორჩაძე.

◆ **ერევნიდან ჩამოსულები** გადმოგვცემენ, რომ ხმები ანდრონიკის პარტიზანული რაზმით ბაქოსკენ წამოსვლის შესახებ არ არის მართალი. ანდრონიკმა ნახჭევანიდან ოფიციალურად აცნობა ოთხთა კავშირს, რომ ნახჩევანი რუსეთის რესპუბლიკის ნაწილათ არის გამოცხადებული.

ქალაქის საბჭო.

29 ივლისი.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ხმოსანთა საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდა, რომ სხდომა კანონიერად ჩაეთვალათ. თავმჯდომარის წინადადებით სხდომა არაჩვეულებრივათ იქნა აღიარებული. განსახილველია საკითხი ხოლერის ფონდის გასაძლიერებლად დაბეგვრის შესახებ. მოხსენებას აკეთებს ქალ.-თავის ამხანაგი **კალიუსკი**. ის აცნობს კრებას კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტს მოქალაქეთა შორის გადასახადების გაწერის შესახებ. ეს პროექტიო, ამბობს ორატორი, მოიწონა მთავრობამ და ალგვითქვა სხვადასხვა დროს მოგვცეს 600 ათასი მანეთი.

მომხსენებელი აღნიშნავს თუ რომელ დაწესებულებებზე, რამდენის გაწერა შეიძლება. სხვათა შორის ეხება გასართობებს, და ამბობს, რომ გასართობებზე 5 პროც. უნდა გავაწეროთო. ორატორის სიტყვით ყველაზე უფრო რთული იყო გაწერა იმათზე, რომელნიც კერძო შემოსავლით ცხოვრობენო. აქ ჩვენ მივმართეთ ბინის კომიტეტებს, მაგრამ ესეც არ იყო ადვილი, რადგანაც ბინის კომიტეტის წინაშე გულახდილად არ აღიარებდენ თავიანთ შემოსავალსო. ამიტომ ჩვენ დავადგინეთ: ვინც თავისი ნებით შემოიტანს 15 მან. ის თავისუფალი იქნება გადასახადებისაგან.

ამის შემდეგ აღნიშნული იქნა ხარჯი, რომელიც მოუნდება ამ დაბეგვრაზე მუშაობის დროს. აღმოჩნდა, რომ სულ ხარჯათ წავა 32 ათასი მან. შემოსავალი კი—1,111,680 მან.

აპრელოვი აღნიშნავს, რომ გასართობები უნდა იქნას გარჩეული. არის გასართობი, სადაც მარტო მდიდრებს შეუძლია შესვლა, ასეთ დაწესებულებებს 10 პროც. უნდა შევაწეროთო. რაც შეეხება 15 მან. გადახდეს, მდიდრები სიამოვნებით გადიხდიან 15 მან., ამიტომ ჩვენ ეს მივანდოთ ბინის კომიტეტებს, რომ მან თავისი შეხედულობით გააწეროს გადასახადი.

კამათის შემდეგ მიღებულ იქნა აპრელოვის წინადადება. 10 პროც. გადააახდევინონ პირველი კლასის რესტორანებს და იმ გასართობებს, რომელიც მარტო მდიდრებისათვის არის ხელმისაწდომი. კენჭს უყრიან კომისიის მიერ წამოყენებულ წინადადებას. ვინც 15 მ. შემოიტანს თავისუფალი იქნეს გადასახადიდანო. სხდომამ დიდი ხმის უმეტესობით მიიღო. ამის შემდეგ თავმჯდომარემ კითხვა დააყენა იქმნას თუ არა ეს სხდომა კანონიერათ აღიარებულიო. სოც.-დემ. ფრაქციის წინადადებით ამ სხდომას მიეცა თათბირის ხასიათი და არა ჩვეულებრივი კრება დაინიშნა ოთხშაბათს საღამოს 8 საათისათვის.

განსახილველია მუშების მოთხოვნა ჯამაგირის მომატების შესახებ. მოხსენებას აკეთებს **კალიუკი**. ტრამვაის მუშები მოითხოვენ 240 მ. მომატებას. ჩვენ ვსცნობთ, რომ მათი მოთხოვნილება კანონიერია, მაგრამ ვერ აღმოვაჩინეთ საშვალება მათი დასაკმაყოფილებლათ. გვაქვს ორი გზა მუშების უმწეო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 1) მივაწოდოთ იაფ ფასებში პური და სხვა სანოვაგე. 2) პროგრესიული შემოსავლის კვალობის გადასახადებას დაწესება. მეტ გზას ჩვენ ვერ ვხედავთ.

ხონდელოვი. ქალაქი და მთავრობა ასეთ შემთხვევაში ერთად უნდა მუშაობდენ. ჯერ ჩვენ უნდა გავიგოთ, თუ როგორი დამოკიდებულებაშია მთავრობა ქალაქთან. ჩვენ მას უნდა მივმართოთ დახმარებისათვის, გავიგოთ მისი აზრი და შემდეგ შეგვიძლია გზის აღმოსაჩენათ ვიფიქროთ.

კაფიევს წინადადება შეაქვს დაჩქარებულ იქმნას პროგრესიული შემოსავლის კვალობის გადასახადის გაწერა. **ჯაფარიძე**. წინადადებას იძლევა მიენდოს კომისიას ამ საკითხის გადაჭრა.

ბერბეროვი. საჭიროთ სცნობს მუშების მოთხოვნილება სავსებით არ იქნას დაკმაყოფილებული. ჩვენ გავადიდოთ ტრამვაის ტარიფი 50 პროც. ეს მოგვცემს 3 მილიონ მანეთს. და თუ მუშების მოთხოვნილებას სავსებით არ დავაკმაყოფილებთ, მაშინ ის, რასაც ტრამვაი მოგვცემს, დაფარავს ამ ხარჯს.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ საბჭო ანდობს ამ საკითხის გადაჭრას საბიუჯეტო კომისიას გამგეობასთან ერთად.

გა—ლია.

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔᲨᲘ

19 ივლისი, ჭალა. ჯარებმა განსაზღვრული პუნქტები დაიჭირეს. ნაწილი წინ წავიდა. საერთოდ ჭალის გამაგრებას შეუდგენ. ჩამკვდარ სოფლებში ხალხიც თანდათანობით გამოჩნდა.

ჩვენმა ჯარებმა შედარებით ნაკლები მსხვერპლი გაიღო. ეს აიხსნება ყველა ნაწილების შეთანხმებული მოქმედებით. კაპ. იმხნელის ამ მხრით ხელმძღვანელობა აღსანიშნავია, მეთორმეტე პოლკის ნაწილი „უჩებნი კომანდით“, გამყრელიძის რაზმი, გურულთა გვარდიის, ცხენოსანი რაზმი ლ. გიგინეიშვილისა და პ ალ. ჩხეიძის ხელმძღვანელობით. „პულემიოტთა რაზმებისა“ და არტილერისტთა შეთანხმებული გამოსვლა ჩვენ აშკარათ გვიმტკიცებდა ერთსულოვან, თავგანწირულ გამოსვლას, გმირულ გატაცებას.. მათ აასრულეს თავიანთი ვალი ღირსეულათ სამშობლოს წინაშე.

ჩვენი დაკვირვება ტ საჩხერეს ბრძოლა მოწმობს იმას, რომ აფიცრები, ჯარისკაცები, ახალგაზდა არტილერისტები, გვარდიელები ყველა ერთი გრძნობით იყო გაქლენთილი, ძმურათ მიდიოდენ და სიცოცხლესაც სწირავდენ. ჩემს მოგონებიდან არ წაიშლება ის, რაც ვნახე და რისაც აღნიშვნა დღეს შეუძლებელია.

მოკლეთ კი შემდეგი ითქმის: გაჭირვება, შიში, სიკვდილი, შიმშილი, ტყეღრეში—მდინარეებში ხეტიალი აი მათი დღევანდელი ხვედრი. ისინი ყოველივეს იტანენ.

ხედავთ, შეგნებული გლეხი, მუშა, მოსწავლე, სტუდენტი, აფიცრები, ყველა წრიდან, ყველა კლასებიდან გამოსული იბრძვიან ანარქიის წინააღმდეგ, იცავენ თავისუფლებას, სამშობლოს და „ბალშევიკ პროვაკატორთა“ მიერ მოშხამული ბრბოები მხეცურათ ასამართლებენ, აწამებენ მათ.

ბევრი ოჯახები დანგრეულ აწიოკებულია. ვინ იცის რამდენი ჩვენები დაფლითეს, გაატიტვლეს, ხელით დაახრჩვეს, აკუწეს. .

ვინ იცის, რამდენი ნაწამების დასჯილი სხეული ღორებმა, ძაღლებმა, მხეცებმა დაგლიჯეს...

ასეთი იყო საშინელი ფაქტები, მწარე სინამდვილე.

ეს სამწუხარო ისტორია დაუვიწყარი იქნება.

სიბნელით მოცული ხალხი, ცუდ პირობებში ჩავარდნილი, თანამედროვე ხანას მოწყვეტილი, ყველას საწყალ-ფურათ გადაქცეული, „ბალშევიკ-პროვაკატორთა“ ხელში ტყვეთ ჩავარდნილი.

სიმდიდრით მოცულ მხარეში ყველაფერი უკუღმართად მოწყობილა.

ვერ ხედავთ ბიბლიოთეკებს, სკოლებს, კოოპერატივებს, როგორც საჩხერეს ეკუთვნის.

ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო, რომ შეანათოს ცხოვრების განახლების სხივებმა. იქ ბოროტება დღესასწაულობს.. ბნელი ძალები იცინიან და თავისუფლებას საფლავს უთხრიან...

20 ივლისი. დილით ადრე სოფ. ჯვრის, დარყას და ჭურნალისაკენ ჩვენმა რაზმმა წაიწია.

დილა მოწმენდილი იყო. ხეობა დაწყნარებული.

რაზმები დანიშნულ ადგილს შეერთდენ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ყვირილის ხეობა ძლიერ ვიწროა ჭალას ხევით. ხეობაში იქით აქეთ გაშენებული პატარა სოფლები, რომელთაც თავს დაჰყურებს მთა-გრეხილები უდაბური ტყეებით. ჭალიდან საშუალო ადგილია სოფ. პერევი, სადაც გადაიტანეს აჯანყებულებმა შტაბი. მხოლოდ უკანასკნელია ოსების სოფელი ჭყუისი, რომელიც ისაზღვრება სურამის მთებით.

გაქცეული „ბანდიტები“ ნაწილ-ნაწილათ მთებში გამაგრდნენ. დიდძალმა კი დასტოვა იმერეთის საზღვრები და გადაიარა ქართლისაკენ. ჭალის დაპყრობის შემდეგ დღის წეს-რიგში დადგა ზედა სოფლების გაწმენდა.

აღნიშნულ ადგილებზე ჯარის გაჩერების შემდეგ არტილერისტთა ცხენოსანი რაზმი მდ. ყვირილის გზით სოფ. ჯვრიას დასაწყისში მთის ყელს მიუახლოვდა. რადგანაც შემთხვევით ცოტა წინ წაიწია რაზმმა, მათ ალყა შემოარტყა ბრბობმა და სროლა აუტეხა. სროლა მოულოდნელი იყო, მოხდა იმ დროს, როცა არ ელოდენ. ცხენოსანი რაზმი და ნაწილი ქვეითისა საჩქაროთ გაეშურა. მთებიდან დაიწყო ჩვენმა ჯარმა მოქმედება. დროებით დაწყნარებული ხეობა ახმაურდა. თოფ-ტყვიისმფრქვეველთა ხმას ზარბაზნების ქუხილიც მიემატა.

ცხენოსანი რაზმი სოფ. ჯვრიაში შეიჭრა, მას თან გაჰყვა მარცხნით ქვეითი ჯარი... „ბანდებმა“ მკაცრი სროლის შემდეგ მთებში დაიხიეს. მოკლული იპოვნეს ახალგაზრდა არტილერ. სტუდ. იოსებ შოთაძე, სასიკვდილოთ დაჭრილი გიმნ. ბიძინა სანებლიძე, რომელიც გარდაიცვალა საღამოს. დაიკარგა უგზო უკვლოდ არტ. გიმნ. შალვა ვარდენაშვილი, რომელიც შემდეგ მდინარეში იპოვნეს მოკლული. დანარჩენი დაჭრილ-დატყვევებულნი ცხენებითურთ გატაცეს სოფ. პერევ ხახეთისაკენ. კავალერისტებმა ტყვეთ ჩაიგდეს ხელში რამოდენიმე „ბანდიტი“, რამოდენიმე მოჰკლეს არტილერისტებმა შეტაკების დროს. დახოცილი მეომარნი ჭალისაკენ გაასვენეს. დახოცილები გაეტიტვლებია ბრბოს, სიკვდილის შემდეგ ეწამებიათ. ერთი დაჭრილი ხელით დაეღრჩოთ. სხეული დაეჩეჩათ. საღამო მოახლოვდა. სროლა მიწყნარდა, მხოლოდ აქ იქ მაღლობებში ისმოდა თოფების სროლა.

ახალგაზრდა არტილერისტების დახოცვამ და ტყვეთ გატაცებამ ყველა აალელვა, მათი დაკარგვის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს ნაწილებში. ყველას გული დასწყვიტა, ყველას შურისძიება კიდევ მეტათ გაუღვიზიანა.

ყველა სწუხს.. ყველა ცრემლებს აფრქვევს. გაიძახიან,—ნეტა არ გვენახაო მართლაც კარგი იყო, არ გვენახა, არ გაგვეცნო... ისინი ჩვენ იქ დაგვხდენ ბრძოლაში... ისინი დიდი ხანია ემსახურებოდენ ქვეყანას. ებრძოდენ გარეშე მტერს და, შინ თავის სამშობლოს ნაბოზრების გულ მკერდზე მოღალატურათ წაართვეს სიცოცხლე...

დაღამდა. მოწმენდილი ცა, დადუმებული ბუნება, საიდუმლოებით მოცული მშვენიერი ხეობა, ჩაფიქრებული მთები და ყვირილის მშვიდი დუდუნი ჩვენზე ვეღარ ახდენდა ჩვეულებრივ გავლენას... ჩვენში წუთიერი მოწყენილობა, სევდა, მწუხარება გამეფებულიყო ჩვენ დავკარგეთ ამხანაგები...

„ეხ, სოფელო, რა შეგანხარ,
რას გვიბრუნებ, რა ზნე გჭირსა“.

ან. ხ.

ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ

რაზმელები ტყვეთ ბალშევიკების ხელში.

ყველაზე სერიოზული და მნიშვნელოვანი ფრონტი ბალშევიკების წინააღმდეგ გაიხსნა შავი ზღვის პირად. ბრძოლა ამ ფრონტზე მაისის პირველ რიცხვებში დაიწყო. თფილისის წითელი გვარდია და აღმასრულებელი კომიტების რაზმი აწარმოებდენ პირველათ ამ ბრძოლას და კიდეც დაამარცხეს მტერი. მოწინავე პოზიციათ შემდეგ გუდაუთი გახდა, სადაც თფილისის აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო რაზმი გაიგზავნა. თითქმის ორი კვირის განმავლობაში ამაგრებდა გუდაუთის პოზიციას ეს რაზმი. 17 ივნისს ღამით თავს დაგვესხნენ ბალშევიკების ჯარები და ახალ ათონის მონასტრამდე 17 ვერსის მანძილზე გზები დაიკავეს. მეორე მხრიდან მთავარი ძალებით მოადგნენ და მხოლოდ ქ. გუდაუთი, როგორც პატარა კუნძული დარჩა ჩვენს ხელში ბნელი ძალებით გარშემორტყმული. ბრძოლა 17-ს დილით დაიწყო. ომი საშინელი იყო ორივე მხრით. ჩვენთან იყვნენ კიდევ 40 კაცამდე ყვირილის რაზმიდან. ფრონტს ჩვენი ჯარი ვერ სწვდებოდა, მაგრამ მაინც გაკაჟებული იქმნა მოწინავე ხაზი. 18 ივნისს მტერმა საარტილერიო და ტყვიისმფრქვეველთა ცეცხლი გააჩაღა. ზღვის პირისკენ, გაგრის გზასთან დაყენებული იყო ყვირილის რაზმი. როცა მტერმა იერიშები გააძლიერა, მაშინ ამ რაზმმა მიატოვა პოზიცია და უკან გამოიქცა. იქვე ახლოს იდგა ორი ზარბაზანი. უკან დახევის შემდეგ ზარბაზნებიც მიატოვეს. არტილერისტებმაც ამ დროს დაიხიეს უკან. მტრის მზვერავებმა რაკი დაინახეს დაცლილი პოზიცია ჩვენი ზარბაზნები ჩაიგდეს ხელში და ზღვის პირიდან ქალაქში შემოიჭრნენ. ყვირილის რაზმის ხელმძღვანელი აფიცერი და რაზმი ითხოვდა სოხუმისაკენ დახევას და ამიტომ ძალმომრეობაც იხმარეს 3 რუფ. ნოვიკოვზე ტ გარნიზონის უფროს ლოლონტზე. ამავე რაზმის „ვზვოდნი“ ვიღაც კუცია ლაზარეთში ითხოვს წასვლას და ნოვიკოვს უჩვენებს თავისივე ხიშტით გაკაწრულ ფეხს. ნოვიკოვის აზრი იყო ამ დროს ან მტრის ხელში ჩაბარება, ან ბრძოლა, სანამ შესაძლებელი იქნებოდა. თფ. აღმ. კომიტეტის რაზმმა, რომელსაც პოზიცი ს მარჯვენა ფრთა ეჭირა, არ იცოდა თუ ქალაქში მტერი შემოჭრილი იყო და უკანიდან ესხმოდა მას თავს. ის იბრძოდა მანამდე, სანამ უკანიდან სანგრებს არ მიადგა მტერი, მაგრამ გვიან იყო. გასვლა უკან აღარ შეიძლებოდა. ქალაქიდან გასავალ ხიდზე „პულემიოტი“ დადგეს და რამდენიმე გაქცეულებს „ზალპებით“ ესროდა გამხეცებული ბრბო. დიდათ ხელი შეუწყო მტრის შემოსვლას აგრეთვე იმან, რომ ქალაქში გამოვიდა მთელი რაზმი მოღალატურათ მოწყობილი, რომლებიც დახმარების მაგიერ უკანიდან ლახვარს გვცემდენ, სახლებიდან გვესროდენ. ამ დროს გაჩაღდა ქუჩებში საშინელი ბრძოლა. ქალაქის კომენდანტი პოდპორუჩიკი კ. შარაბიძე გმირულათ დარბოდა ქალაქში და უნდოდა ჩვენი ამხანაგების თავის მოყრა, რომლებიც გაფანტული იყვენ. არტილერიის უფროსი ზვამბაიამ გაიგო, რომ ერთის მეტი ყველა ზარბაზნები მტერს ჩაუგდია ხელში ტ სათვალყურო პუნქტიდან ელვის სისწრაფით გარბის პოზიციების დასათვალიერებლათ, მაგრამ გზაში მას მტრის მუხანათური ტყვია ჰკლავს.

ყვირილის რაზმის უმრავლესობა ყველაზე წინ გავიდა ქალაქიდან და ახალ ათონის მონასტრისაკენ დაიხია. მათ რომ არ დაეხიათ პოზიციიდან და არ დაეცალიერებიათ მარცხენა ფრთა პოზიციისა, მტერი ისე მალე ვერ გაბედავდა შემოსვლას ზღვის პირიდან, საღამომდე გავმაგრდებოდით და საღამოს მაშველი ჯარი მოგვისწრებდა. ჩვენი „პულემიოტჩიკები“ ყოველ მხრით იბრძოდენ ქალაქის დაცემის შემდეგაც. „პულემიოტის“ პირი ყოველ მხრით ტრიალებდა და მტერს ახლოს არ უშვებდა. როცა საფრთხე გაძლიერდა „პულემიოტები“ ქუჩაში გავიტანეთ და უკანიდან შემოსულ მტერს შეუბრებლივ ვესროდით. მტერი უახლოვდება „პულემიოტებს“ და სურს ყოველმხრიდან ალყა შემორტყმით დაიჭირონ „პულემიოტჩიკები“. აჰა, უძახიან მათ „დაგვნებდითო“ თოფებ შემართული, მაგრამ ამ დროს იქით მიბრუნებული პულემიოტი გააჩენს ცეცხლს და მტრები გაიფანტებიან. ეს გმირული ბრძოლა პულემიოტებიდან გაგრძელდა მანამ, სანამ ტყვიები არ დაგველია. ქუჩებში საშინელი ხელჩართული ბრძოლაა. კომენდანტის მეთაურობით მცირედი რაზმი პირისპირ ხან აქ დაეტაკება მტერს და უკუაქცევს, ხან იქ. ახლათ გაჩუმებულ „პულემიოტთან“ ახლოს თხრილში ჩაწოლილი გვარდიელი ტურაბელიძე „პულემიოტჩიკებს“ უძახის: „მე აქ მოვკვდები, ამხანაგებო, დაგეხმარები და თქვენ თავს უშველეთო“. ის ყოველ მხრივ ესვრის შემოსულ მტერს. მალე მისი უსულო გვამი ძაღლების საგლეჯათ ქუჩაში ეგდო. ქუჩაში ბრძოლა ორ საათზე მეტი გაგრძელდა. მტერი ბრძოლაში უფრო დაზიანებულიყო ჩვენზე, როგორც კალია ისე შემოესია ყოველ მხრიდან ქალაქს ბალშევიკების ჯარები, აფხაზები და სხ., რომლის რიცხვი რამდენიმე ათასამდე იქნებოდა. დაიწყო ჩხრეკა, დაპატიმრება, დაჭრილების დახოცვა, ტყვეების ცემა, დუქნების ცარცვა-გლეჯა. აუწერელი სურათი გადაიშალა ჩვენს თვალწინ. სურათი მეტად საშინელი და გულ შემზარავი. აგერ თფ. აღმ. კომიტეტის რაზმის წევრი სტუდენტი კვაჩაძე დაუჭირავთ ზღვის პირათ აფხაზებს და „საბჭოს ჯარის კაცებს“, უნახავთ ჯიბეში სტუდენტობის მოწმობა და იმ ოქმის პირი, რომელიც გვარდიის შტაბმა აფხაზეთის დემოკრატიას გაუგზავნა მტრული განწყობილების სალიკვიდაციოთ. იმავე წამს სამი ჯარისკაცი ტყობილობს ვინ არის დაჭერილი და იქვე უკითხავენ ზეპირათ განაჩენს შემდეგ შინაარსისას: „სამმა ჯარისკაცმა „საბჭოების მთავრობისა“ გადასწყვიტეს შენი სიკვდილით დასჯა სტუდენტობისათვის და კონტრ-რევოლიუციონერობისათვის“ გააჩერეს რამოდენიმე საჟენით მოშორებით და შემართეს თოფები მოსაკლავათ. ამ დროს ქალაქში საშინელი ხმაურობა გაჩნდა, სროლა და ვიღაცამ დაიყვირა „Тревога“. ო. ჯარისკაცებმა თოფის კონდახი მიარტყეს სტ. კვაჩაძეს და დროებით დატოვეს და გაიქცენ, რომ გაეგოთ რას მოასწავებდა ქალაქში ატეხილი ხმაურობა. 12 საათია. სროლა მიწყნარდა საშინელი სიცხეა. აღმ. კომიტეტის რაზმი რამდენიმე ჯარისკაცის გამოკლებით და აფიცრით უიარაღონი, ბალშევიკების ხელში ტყვეთ ჩავარდნილნი, სატუსაღოში დაუმწყვდევიათ. მასთან 40 კაცამდე სხვა ნაწილებიც არიან. უყურებ უსწორო ბრძოლაში დამარცხებულ ვაჟკაცებს. ტყვეთ ჩავარდნილებს, უყურებ გმირ მებრძოლებს, რომლებსაც დამარცხება არსად არ უნახავთ და რომლებისთვის სიტყვა „უკან დახევა“ არ არსებობს, აცქერდები ხალხს, რომელსაც ბრძოლაში იდეა ამოძრავებს და მის ფიზიკურ ძალას აასკეცებს, ხალხს, რომელსაც ძალით, კონდახების ცემით, ხიშტებით, მოკვლით და სხვ. ასეთ საშვალებებით ხდიან იარაღს, იმ იარაღს, რომელსაც მან შეფიცა მასთან ერთად სიკვდილი, უცქერ ყოველივე ამას და გული გიკვდება, შურისძიების გრძნობა იღვიძებს. აგერ მოწყალების დები, ცემით სახე გასისხლიანებით, გაფითრებულნი არიან. უხმოა კვნესა და წუხილი. რაინდულია ყოველივე დამცირების ატანა რევოლიუციონურ რაზმელებისაგან. ამაყია მათი სული მხეცების ხელში ყოფნის დროსაც. კრ. მონურად ქედის მოხრის მაგიერ შურისძიების ცეცხლი ღვივდება მათში. ბევრი ტყვე მოკლეს. დანარჩენი შემთხვევით გადარჩენ. ყველა გამვლელ-გამომვლელი ბალშევიკი „წითელ არმიელი“ თოფს უმიზნებს ტყვეებს და დახვრეტას უპირებს, ქალაქში ცარცვა-გლეჯა უმაღლეს წერტილს აღწევს. მიაქვთ ნაძარცვი საქონელი თავიანთ სახლებში. არის ლოთობა და დუქნების მტვრევა. ჩვენი ჯარისკაცების ნივთები დაიტაცეს. ბალშევიკების ჯარებში ქართველებიც ბევრი ერია, განსაკუთრებით მეგრელები და რაჭველები. ყველანი აგინებენ ჟორდანიას, ჩხენკელს და წერეთელს. ტყვეებს გული არ უთმენდათ და შესაფერ პასუხს აძლევდენ ხულიგანურ ბრბოს, რასაც კონდახების ცემა მოყვებოდა და დასახვრეტად გამოყვანა. ბ-ტონი ლაკობა, ურუშაძე, კაზლოვსკი და კომპანია მალე ეწვია ქალაქს. შტაბიც გუდაუთში გადმოიტანეს. ტყვეები დაათვალიერა ბალშევიკ ამბერკი ურუშაძემ, რომელიც გამოჩენილი სამხედრო პირია ბალშევიკებში და ტყვეებში რამდენიმე იცნო, უმეტესობა ტყვეებისა გურულები აღმოჩნდენ. იყვნენ შიგ მისი ნათესავებიც ლანჩხუთიდან. ტყვეებს გაუხარდა, რომ ნაცნობი ნახეს გამხეცებულ ბრბოში და სთხოვეს დახმარება. ურუშაძემ უპასუხა მათ:—ულვაშები გაგზრდიათ და ჭკუა გამოგლევიათო რა უნდა დაგეხმარო კონტრრევოლიუციონერებს, თქვენ ყველა დასახრჩობი ხართ და კიდეც დაგახრჩობთო“.—ტანზე და ფეხზე ნუ გაგვხდიან მაინც იმდენი ადამიანობა იხმარეო, უთხრეს ტყვეებმა —ციხეში რათ გინდა ჩექმები ან შინელებიო, ბრძანა ბ ნმა ურუშაძემ. მაშინ ერთი ტყვეთაგანი შურისძიების ცეცხლით ანთებული მიმართავს მას: ჩვენ გენერალი მაზნიაშვილის ჯარების ნაწილი ვართ. ის მოემართება თქვენს წინააღმდეგ და უეჭველათ დაგამარცხებთ. თუ ეს არ მოხდა რევოლიუციონური გურია, რომლის წარმომადგენლები ჩვენა ვართ, შურს იძიებსთ ქვენზე, ჩვენი მოკვლისთვის გურია სისხლს აიღებს და სად მიხვალ მაშინ? ჩვენ თუ დაგვხოცეთ თქვენ ამაზე აგებთ სასტიკ პასუხსო. ურუშაძემ გაიღიმა და განშორდა რაზმელებს. ტყვეები გუდაუთში დიდხანს არ დარჩენილან. მალე ისინი გამოიყვანეს და გაამწკრივეს. ვიღაც რუსმა, რომელსაც უნივერსიტეტის დამთავრების ნიშანი გულზე მიეკერებია და რომელიც რომელიღაც უფროსის როლს ასრულებდა, მიმართა ტყვეებს: „Товарищи, снимите все казенное“. შემდეგ: снимайте все, что есть у вас“. ტყვეებს ყველაფერი გახადეს ტანზე, ფეხზე, ბევრი დატოვეს ფეხშიშველი და საცვლების ამარა. კერძო და სახელმწიფო ტანისამოსი არ დაუტოვეს. 120 კაცამდე ტყვე გაფუჭებულ ნავში ჩაყარეს და გაგრაში გაგზავნას უპირობდენ.

ნავში წყალი შედიოდა. ტყვეებმა ვედრო სთხოვეს, რომ შესული წყალი გზაში მაინც ამოეცალათ. ბ-ნ ლაკობამ, უპასუხა მათ, რომ არ მოგცემთ და არც გინდათ ვედრო. თუ დაიხრჩობით წყალში, დაიხვრჩვით, მაინც დასახრჩობი ხართო. „იქ ზღვაში, თევზები შიმშილობენო“. ბრძანა მან ამაყური კილოთი. დიდი ვაივაგლახით ტყვეებმა გაგრას მიაღწიეს შესულ წყალს ნავიდან სისწრაფით იღებდენ გატეხილი ვედროთი, რომელიც დიდი მუდარის შემდეგ მისცა ბალშევიკებმა ტყვეებს. დამცირება, ცემა, გინება, ლანძღვა და მუდამ სიკვდილის წინაშე მდგარი ტყვეები ნხეცი და ველური ხალხის ხელში ყველაფერს უსიტყვოთ იტანდენ. კალამი ვერ აწერს წამებას, რომელსაც რაზმელებს და მოწყალების დებს აყენებდენ.

პრომეთეოსი.

ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ

ბეჭდვითი სიტყვის გავრცელების საქმეს.

(გზათა სამინისტროს საყურადღებოთ).

ბეჭდვითი სიტყვის გავრცელება თუ ოდესმე სახალხო სასარგებლო კულტურული საქმიანობა იყო, დღევანდელი რევოლიუციის მღელვარება, რყევა ნგრევის და აშენებლობის დრო ჟამში მის გავრცელებისათვის ხელის შეწყობა და მისი იდეიურ პრაქტიკული ხელმძღვანელობა უფროა საჭირო სხვა მაგვარ კულტურულ საქმიანობაზე არა ნაკლებ საპატიო და სასარგებლო, სახალხო საქმედ უნდა ჩაითვალოს და მას ყოველი შეგნებული ადამიანი მუდამ და ყოველგან ხელს უნდა უწყობდეს, ეხმარებოდეს...

დღეს რომ გაზეთი სამელ-საჭმლის შემდეგ უპირველესი მოთხოვნილებაა ადამიანის ცხოვრებაში,—ამას ინტელიგენტების, ნასწავლ-დიპლომიანებისა, გამოკლებით ყოველი ან-ბანის მცოდნე, ცოტათ თუ ბევრათ საზოგადო საქმიანობით დაინტერესებული ადამიანიც თავის თავზე განიცდის. ყოველ მკითხველს დღე მუდამ თვალყური მისი (გაზეთის) საჩქაროთ მიღებისაკენ აქვს მიპყრობილ მიცეცებული და მოუთმენლათ ეკითხება: ნეტა როდის გამოვა და მივიღებთ ახალ გაზეთებს ცხელ ცხელი ამბების გასაგებათ და ყოველ დილა-საღამოობით ქუჩისკენ, საგაზეთე კიოსკებისკენ მიეშურება ახალი გაზეთის შესაძენათ; ან კიდე ვისაც გაზე[illegible] მოუთმენლათ ელის, როდის მოუტანს მას მეგაზეთე [illegible].

ამრიგათ გაზეთს თუ დიდროის ქალაქების ქუჩებსა და სახლებში მოუთმენლათ ელიან მოწყურებულნი მკითხველნი,—არა ნაკლებ მოუთმენლად ელიან მათ პროვინციალურ ქალაქებსა და სოფლებშიაც. აქ მათ (თფილისის გაზეთებს) კიდე უფრო მოუთმენლათ ეწაფვიან, რადგან ადგილობრივ გაზეთებში გაშლა ადგილობრივ საყველპურო ცნ ბებისა და მათი პრინციპიალური წვრილმანობით გაშუქებისა, საერთო, საქვეყნო ცნობები ისევ თფილისის გაზეთებიდან იბეჭდება მეორე-მესამე დღეს.

ამის გამო თფილისის გაზეთებზე მოთხოვნილება დღითი-დღე თანდათან მატულობდა, რომ რკინის გზის უწესრიგობას, ამისათვის ხელი არ შეეშალა ამ რევოლიუციის ხანაში.

იმერეთში, სადაც წერა-კითხვა ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებზე გაცილებით უფრო გავრცელებულია, გაზეთების კითხვასაც გატაცებით ეტანებიან. აგენტებს პროვინციებში მიღებისათანავე ხელიდან გლეჯენ დაუკეცლათ გაზეთებს. ჩემ კანტორაში მთელი ბულვარის სიგძეზე განუწყვეტელი „კუდები“ ედგნენ გაზეთებისათვის მთელ საათების განმავლობაში, როცა ამ ორი თვის წინეთ გაზეთები ნაშუადღევის 1—2 საათზე მოდიოდა. ახლა კი ამას აქ ადგილი აღარ აქვს, რადგან გაზეთებს მეორე დღეს ვიღებ ადრე დილით და ძველი გაზეთის ინტერესი ყოველ მკითხველს აბა როგორღა შერჩება. მეორე დღეს მკითხველები ნახევრდება და თუ რაიმე სასენსაციო ამბებია გაზეთებში, მესამედდება და იშვიათად სულ გაიყიდება.

იმერეთის, დასავლეთ საქართველოს ოდენა გაზეთები ამერეთ, აღმოსავლეთ საქართველოში არასოდეს არ ვრცელდებოდა. ამის საუკეთესო დამამოწმებელი არის ჩვენი რედაქციების საექსპედიციო დავთრები, რომლებშიაც ერთი ჩახედვით გაიგებთ ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეში რამდენი ცალი გაზეთი ვრცელდება.

აქ მეტათ დამაღონებელ ციფრებს წააწყდებით გაზეთების გავრცელებისას ქართლ-კახეთში და დუშეთის მაზრაში, სადაც რაღა საკვირველია, რომ ყაჩაღურ „ბალშევიზმს“ ქართველ-ოსების სული და გული მოუწამლია. ამ მხარეებში გაზეთების მუდმივათ გავრცელებაზე არც ერთ პროპაგანდისტს არ უზრუნია და სამწუხაროთ არც თუ ვინმე დღეს ზრუნავს... სიტყვებით კი ხალხის მოსაწამლათ ყველა მისკენ მიეშურება და უნდათ თითო მიტინგის მოწყობით ყრუ, შეუგნებელი ხალხი გადიბირ-გადმოიბირონ...

დროა ამ მხარეებს მეტი ყურადღება მიაპყრონ ჩვენმა რედაქციებმა თფილისიდან და იქ გასაგზავნ პროპაგანდისტებს დაავალონ ქართული გაზეთების გავრცელებაც...

დასავლეთ საქართველოში ხომ ყველაზე მეტი გაზეთები თითქმის ნახევარი მთელი პროვინციებისა ვრცელდება ქუთაისში და აქედან კი რაჭა-ლეჩხუმსა, ოკრიბა, ბაღდათის, ხონის, წყალტუბოს და სხვა მახლობელ რაიონებში, რომელთაც ჩემი კანტორა „იმერეთი“ 1905 წლიდან მოყოლებული აწვდიდა და ზოგან დღესაც აწვდის გაზეთებს.

დღეს კი ამ რევოლიუციის ხანაში რკინის გზის მიმოსვლის არევ-დარევის, საფოსტო გზების მოუწყობლობა და თითქმის სრულიად საფოსტო მიმოსვლის მოსპობის (მაგ. რაჭა-ლეჩხუმის შარა გზაზე) გამო და უმთავრესად კი სოფლად ინტელიგენტურ ძალების იდეიურათ დაინტერესებულ აგენტების უქონელობის გამო ძველათ სამაგალითოდ მოწყობილი გაზეთების გავრცელების საქმე იძულებული გავხდი მოვსპო, რადგან ნივთიერათ ჩემ წარმოებას ეს ოპერაცია ზარალს აყენებდა.

დღეს რაჭა-ლეჩხუმის შარა გზის სადგურებიდან ბევრნი მთხოვენ აღდგენას ამ საქმისას, მაგრამ უკაცობის და უგზოობის გამო ვერ მიმიყვია ხელი და სხვათა შორის ერთი მიზეზთაგანიც ეს არის, რომ ამ კუთხეში ხალხი ახლანდელ სარევოლიუციო ცხოვრებას ჩამორჩა და ოსებივით ამათიც სული და გული ისევ და ისევ გაყაჩაღებულმა „ბალშევიზმმა“ მოიცვა და ამ კეკლუც ბუნების, კალთებზე, მშვენიერ რიონის ხეობა ძმათა შორის საბრძოლველ ფრონტათ გადააქციეს 16 ივლისს ქუთაისიდან 34 ვერსზე დერჩის და ძმუის გუბნის საზოგადოებათა სოფლებში აუარებელი უდანაშაულო ქართველის სისხლი დაიღვარა და ბევრი გმირი მებრძოლი გამოასალმა სიცოცხლეს გახურიგანებულმა ბრბომ მობალშევიკე მეგრელ-ლეჩხუმელებისამ...

საჭიროა ამ მხარესაც მეტი ყურადღება მიეპყრას არა მარტო მთავრობისა,—არამედ ძველათ აქ მომუშავე ორგანიზაციებმა, მაგ. „რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე ჯგუფმა“..

1905 წლის რევოლიუციის ხანებში და ერთხანს რეაქციის წლებში შედარე-

ბით უკეთესი პირობები მქონდა ბეჭდითი სიტყვის გავრცელებისა იმერეთში და მიუხედავათ მრავალ გზის სასტიკი სასჯელისა ცარიზმისაგან, რაკი ამ საქმეს იდეურათ და პროფესიონალურათ შევესისხლ-ხორცე, მის გასაფართოებლათ ჩემი მცირე ძალ ღონე არ დამიზოგავს. მარა ამგვარ ფართო საქმისათვის საჭირო თანხის თავის დროზე უქონლობის გამო ჩემი გეგმა დღესაც განუხორციელებელი მრჩებოდა და მას მკვიდრი, საშვილისშვილო საძირკველი ჯერ კიდევ ვერ ჩაუყარე თუნდაც მარტო ქუთაისსა და მის ახლო მახლო.

ხოლო დღევანდელ დიდი რევოლიუციის დროს კი, როცა არა თუ ოთხსართულიან 1905 წ. სანატრელ არჩევნებს მოვესწარით, ევროპის ყოველგვარ და ყოველნაირ თავისუფლებასაც კი გავასწარით,—დღეს ამ ჭინტრ რევოლიუციის დრო-ჟამში არა თუ რუსეთის გაზეთების ნორმალურათ, თავის დროზე მიღებას ვერ ვეღირსეთ, თფილისის გაზეთების წესიერათ მიღება დამიბრკოლდა. მათი მიღება პროვინციებში რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო გაუარესდა.

მანამდი თუ თფილისის დღევანდელ გაზეთებს დღესვე დილის 7—8 საათზე ვღებულობდი ქუთაისში და შუადღეს ან საღამოს მაინც არ გადამცილდებდა; იშვიათად კი რომელიმე გაზეთს რიონის სადგურზე მუშების უყურადღებობის გამო ვერ გადმოტვირთავდენ და ბათუმისკენ გააქროლებდენ პირდაპირ მატარებელს, მაშინ კი მას მეორე დღეს მომიბრუნებდენ. დღეს კი, ნამეტურ საქართველოს რესპუბლიკად გამოცხადების დღიდან აგერ ერთი თვე მიდის მატარებლების შეკვეცის გამო ღამის სამგზავრო საფოსტო მატარებელი თფილისიდან ისეთ უხერხულ დროს გამოდის, 9 საათზე, რომ ამ დროისთვის ვერც ერთი რედაქცია პროვინციებში გამოსაგზავნ გაზეთების დასტამბვას, მათ შეკვრას და კონტრ-აგენტისათვის (ამ შემთხვევაში კანტორა „განათლებისათვის“) გამოსაგზავნით გადაცემას ვერ ასწრობენ. ამისათვის რედაქციები კონტრაგენტების საშუალებით თავიანთ გაზეთებს გზავნიან მეორე მატარებლით, რომლითაც გაზეთებს ქუთაისში მეორე დღეს დილით 6—7 საათზე ვღებულობ ქალაქის მკითხველებისათვის.

დღეს პრესისათვის შექმნილმა მდგომარეობამ როგორც ლიტერატურულათ, იდეიურათ, ისე კიდე უფრო მომეტებულათ ქონებრივათ, ნივთიერათ დააზარალა თფილისის გაზეთების ყველა რედაქციები, რომლების გამოცემათა ტირაჟი ეცემა, უკან უკან მიდის, ნახევრდება. დღევანდელ ცხოვრების ელვის ხისწრაფით დუღილის დროს ან კი ვის რათ უნდა და ეპრიანება დღევანდელი გაზეთები ხვალ ან ზეგ იკითხოს?! ამის გამო აგენტებიც იძულებულნი ვართ ხანახევროთ და სამესამედოთ უკან ვუბრუნოთ რედაქციებს გაუყიდავი გაზეთები.

გარდა ამისა. მეორე დღეს გაზეთების დიდ და დაუსრულებელ საყვედურებს იწვევს პროვინციალურ მკითხველებისას. მაგალითად ჩემი კანტორა მუდამ ამაზე ერთდაიმავე საყვედურის ლაპარაკის ბუდეთაა გადაქცეული და შიგ სამი ადამიანი მათ პასუხის მიცემას უნდებით, რასაც ხშირათ დღევანდელ ნერვების აშლილობის ჟამს არა სასიამოვნო ხასიათი ეძლევა ხოლმე.

საზოგადოება მაინც კიდევ ჩვენ, აგენტებს გვესაყვედურება, თითქოს ჩვენ ვიყოთ დამნაშავე გაზეთების მეორე დღეს მიღებაში. ნამდვილათ კი რკინის გზის მატარებლების მიმოსვლის, მათი სათავეში და გზაზეც მოუწესრიგებლობა იწვევს, ქმნის ასეთ მდგომარეობას პრესისათვის და მით ამწვავებს მკითხველების პრეტენზიებს ამ კულტურულ საქმიანობაში.

ამიტომ საჭიროა დღეიდან მაინც მიექცეს ამ სახალხო, კულტურულ საქმეს მეტი ყურადღება გზათა სამინისტროს მიერ და მოწესრიგდეს იგი თფილისის ყველა რედაქციების წარმომადგენლებთან მოლაპარაკება-შეთანხმებით.

ორიოდ საათით გვიან მატარებლის გამოშვებით, ვფიქრობ, ამ არანორმალურობას რკინის გზის საქმეში ბოლო მოეღება და პროვინციებში (მაგ. ქუთაისში დილის 8—9 საათზე) მივიღებთ გაზეთებს, რისთვისაც მთელი დასავლეთ საქართველოს მკითხველები მთავრობისა და რედაქციებისაც ძლიერ მადლიერნი დარჩებიან. ამას გაზეთების ტირაჟის აწევაც მოჰყვება და მაშინ მათ გავრცელებასაც ხელი შეეწყობა.

ამ საქმის მოგვარება გზათა სამინისტროსათვის მით უფრო ადვილია დღეს, რომ თფილის ბათუმის ხაზზე ძველებურათ აღარც სამხედრო მატარებლებით დიდი ეშელონების გადაზიდვა წარმოებს, აღარც დიდძალი საქონელი გადააქვთ ჯერ-ჯერობით მაინც. და საერთოდ ჩვენი რკინის გზების წარმოება დღეს გამარტივებულია და შესაფერი თანამშრომლების, მოსამსახურეების მისთვის ამორჩევით ამ ორ გუბერნიაში მიმოსვლის მოწესრიგებას დიდი თავის ტეხა არ უნდა.

საჭიროა მხოლოდ ამ საქმისადმი მეტი ყურადღება, სავალდებულო, მუშაობა, რაც აცილებს მატარებლების მიმოსვლას სადგურებში დიდ ხნობით გაჩერებას, ეგრედ წოდებულ „სტოანკებს“, რომლისაგანაც ძველათაც და ახლაც ყველას თავი აქვს მობეზრებული.

ამ რევოლიუციის ხანაში, აგერ მეორე წელიწადია რაც რუსეთის გაზეთების კონტრაგენტებს და თფილისის გამოცემების რედაქციებს გაზეთების სასწრაფოთ გზავნის და მათი თავ-თავის დროზე მიღების და საერთოთ ამ საქმის მოგვარება მოწესრიგებაზე ვწერდი და ვემუდარებოდი. და რადგან ამით დღემდი ვერას გავხდი, პრაქტიკულ სასურველ შედეგებს ვერ მივაღწიე,—ახლა განვიზრახე მის მოსაგვარებლათ პრესის საშუალებით მივმართო ვისაც ჯერ არს.

ისიდორე კვიცარიძე.

17 ივლისი.

ჯარისკაცთა წერილები

ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკას აუარებელი მტრები გაუჩნდა ყველა ჯურის შავრაზმელების, ნაციონალისტების, სპეკულიანტების, ქურდ ბაცაცების და ზოგიერთ შინაურ გზა აბნეულ შვილების სახით, რაც ძლიერ ხელს უშლის მთავრობის დადებითი მუშაობას. ამისთვის აუცილებელია მთავრობამ გაარჩიოს მტერ-მოყვარე და თვითეულ მათგანს შესაფერი ადგილი მიუჩინოს. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ნაციონალურ პოლკის ნაწილებს. როგორც მთავრობას ეტყობინებდენ, მუსულმანების პოლკს ბორჩალოში უკვე დაუწყია მოქმედება ქართველ მშვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ, რასაც სჩანს მხარს უჭერს ადერბეიჯანის მთავრობა. ის მეორე ჯერ წარმოებული თავდასხმა მათი მხრივ ქართველებზე. აწყურის ფრონტზე მუსულმანების პოლკი უმთავრესი ძალა იყო ჩვენს წინააღმდეგ, სანამ ასკერები მოვიდოდენ. ამ პოლკის შემადგენლობა მხოლოდ იმით განსხვავდება ასკერებისგან, რომ ჩვენგან აქვთ იარაღი მიღებული და შეუდარებელი მხეცები არიან. ისინი აწამებდენ, თავს სჭრიდენ და გატიტვლებულს ძაღლის საჯიჯგნათ აგდებდენ მათ ხელში ჩავარდნილ ჩვენ აფიცერ-ჯარის კაცებს. მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, როცა ჩვენ მათ შევხვდით (იქ მოქმედებდა მე 8 მუსულმანური პოლკი) გვიცოდებდენ იმიტომ დაიღუპეთ, რომ მეფე არ გყავდათო. და ყველა ამის შემდეგ თავისთავათ ცხადია, აწყურის ფრონტზე ნამყოფ ჯარის კაცებში ზიზღს და შურს იწვევს მათი ქუჩაში შეხვედრა. თფილისის ქუჩებში თათრის ნაციონალური პოლკების აფიცრებს და ჯარის კაცებს ხშირად შეხვდებით. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმათაც, რადგანაც გაჭირვების დროზე კარგს მათგან არაფერს უნდა მოველოდეთ.

ყველა მათი ნამოქმედარის შემდეგ უფლება არ აქვთ მათ საქართველოს ტერიტორიაზე არხეინათ ისეირნონ და თავისი მუხანათური საქმე აკეთონ. ჩვენს ტერიტორიაზე არ უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენ მოღალატეებს. ამიტომ მთავრობამ ან იარაღი უნდა აჰყაროს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვის ჯარის ნაწილებს ან გაისტუმროს რესპუბლიკას საზღვრებიდან.

მ. მახარაძე.

ს.-დემ. პარტიაში

ყვირილა. 19 ივლისს შესდგა ყვირილა შორაპნის სოც.-დემოკრატიული კომიტეტის სხდომა. განსახილველი იყო უმთავრესად პარტიული მუშაობის აღდგენა-გაძლიერება და მასთან დაკავშირებული თანამედროვე მომენტი. მოხსენებას აკეთებს ამხ. პ. გოგიაშვილი, რომელმაც აღნიშნა საგუბერნიო თათბირის გადაწყვეტილება, რომ თუ მაზრას არა ჰყავს საკმაო პროპაგანდისტების რიცხვი, შესაძლებელია ჩვენ მივსცეთ ძალებით. ამის შესახებ კომიტეტმა იქონია მსჯელობა და გადასწყვიტა პარტიული მუშაობის გაძლიერებისთვის, რადგან ადგილობრივი ძალები არ არიან საკმაო, გუბერნიამ მოგვცეს სამი პროპაგანდისტი ექვს რაიონში, რაიცა დეპეშით ეცნობა საგუბერნიო კომიტეტს. თანამედროვე მომენტის შესახებ კოლექტივმა გადასწყვიტა მოიწვიოს მოკლე ხანში სამაზრო კონფერენცია და საერთო საკითხები და პარტიული მუშაობის გაძლიერების საჭიროება.

კოლექტივმა იქონია მსჯელობა ქალაქის თვითმმართველობის შესახებ, აღნიშნა საერთოდ ქალაქის გამგეობის მოქმედების სისუსტე, რაიცა გამომდინარეობს თანამედროვე მომენტის სიმძიმისაგან, მისგან წარმოშობილი ფინანსიური კრიზისებისაგან და სურვილი გამოსთქვა, რაც შეიძლება და რაც მოსახერხებელია დღევანდელ მძიმე პირობებში ფრაქციამ აწიოს მუშაობა მაღლა. ქალაქის თავის მოადგილის განცხადებას ფრაქცია ანგარიშს უწევს და სასურველად სცნობს ქალაქის თავად მოწვეულ იქნეს ვარლამ გიორგის ძე გარდაგაძე.

ვერხვი.

თფილისი. 25 ივლისს შესდგა მე 3 რაიონული კოლექტივის სხდომა. სხდომას დაესწრო 15 კაცი. დღის წესრიგში დაისვა შემდეგი კითხვები: პრეზიდიუმის არჩევა და იარაღის ტარების ნების შესახებ. მიუხედავათ იმისა, რომ პირველ კითხვად იყო დასმული პრეზიდიუმის არჩევა, კრებამ პირველად განიხილა საკითხი იარაღის ტარების ნების შესახებ. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა: „ვიღებთ რა მხედველობაში საქართველოს რესპუბლიკის კრიტიკულ მდგომარეობას, ვადგენთ შემდეგს: იარაღის ტარების ნების მიცემა მიენდოს პრეზიდიუმს, რადგანაც იარაღი დღეს ბევრ არა საიმედო პირების ხელში არის მოგროვილი. იარაღი მხოლოდ სამხედრო პირს უნდა ჰქონდეს და არა ყველას. ბევრ ექსცესებს თავიდან ავიცილებდით, რომ იარაღი მოკრებილი ყოფილიყო არა სანდო ელემენტებისაგან“. მოხდა პრეზიდიუმის არჩევა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ერთხმად ამხ. ვარლამ კალანდაძე, მის ამხანაგებათ: ევტიხი ლორია და სპირიდონ შუბლაძე, ხაზინადრად—ამხ. ს. ქღენტი.

ი. მეგრელიძე.

მუშათა შორის

საქართველოს მთავრობის სტამბა. ამ სტამბაში საბეჭდავი მანქანები დიდი უყურადღებოთ არის, რაც გამოიხატება საბეჭდავ მანქანების და „დინამო მოტორების“ უსუფთაობაში, საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს, რომ დინამო მოტორები არ დაიწვას საბეჭდავ მანქანებზე მომუშავენის უმრავლესობა ხშირათ გადაკრული მოდიან, რაც არ შეეფერება პატიოსან მომუშავეთა. ასეთ მუშას შეიძლება მანქანამ რაიმე ხიფათი მიაყენოს, ესეც რომ არ იყოს, მთვრალ მუშას ხშირათ მარცხათ მოსდის—ბევრი ქაღალდის გაფუჭება, ისიც ამ სიძვირის დროს. დღეს ამ წლინახევრის წინეთ მიუალი ყოფილი „ნამესტნიკის“ სტამბა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ეკუთვნის. ჩვენი მოვალეობაა ამ სტამბაში მოისპოს ყველა ის ზნე-ჩვეულებები, რომელსაც წინედ დროს ჰქონია ადგილი ერთი სიტყვით, არ უნდა ქონდეს ადგილი სიმთვრალეს, უწმაწურ სიტყვებს და სხვას, რომელიც ამცირებს ნამდვილი პატიოსანი მუშების სახელს. მომუშავენი ერთმანეთს უნდა მოეპყრან ზრდილობიანათ და არა ისე, როგორც ერთმა მბეჭდავმა (მთვრალი იყო) შეურაცყოფა მიაყენა ერთ ახლათ მიღებულ მუშას.

მუშა ოფონიეშვილი.

პროვინცია

ყვირილის მუშათა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა იქონია მსჯელობა მილიციის უფროსის შტაბს კაპიტანის კ. გაჩეჩილაძის მოქმედების შესახებ, რომელიც გამოწვეულია საჩხერეში მომხდარ ამბების გამო და დაადგინა შემდეგი: კ. გაჩეჩილაძე დროებით გადაყენებულ იქნას თანამდებობიდან, და საქმის გამოსარკვევად არჩეულ იქნას საგანგებოთ შემდგარი საგამომძიებლო კომისია. **აღმ. კომიტეტი.**

სოფ. ახალ ქალაქი (გორის მაზრა). კვირას, 21 ივლისს ადგილობრივი სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ იქნა წარმოდგენა. მიუხედავათ იმისა, რომ უმრავლესობა სცენის მოყვარეებისა პირველათ ან მეორეთ იყვენ სცენაზე, წარმოდგენამ საერთოდ კარგად ჩაიარა. ხალხი ბლომათ დაესწრო და კმაყოფილი დაიშალა. წმინდა შემოსავალი წარმოდგენისა გადადებულ იქნა ადგილობრივ სამკითხველოს გასახსნელათ. დიდი მადლობის ღირსნი არიან ჯ. გოზალოვი, როგორც ინიციატორი წარმოდგენისა და ადგილობრივი საზოგადოების კომისარი ვ. ზარიძე, როგორც გამგე, რომელმაც ხელი შეუწყო წარმოდგენის წესრიგიან ჩატარებას, და აგრეთვე ყველა სცენის მოყვარეები.

სასურველია ამნაირი წარმოდგენები ხშირად იმართებოდეს სოფელ ახალ ქალაქში, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ საზოგადოების განვითარებას და კულტურულად ამაღლებას.

გარეშე.

ს. ჩიბათი (გურია). აქ ჩამოვიდა ტყეების მიმღები კომისია, რომელმაც ხალხში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია: როგორ თუ ჩვენი მამასისხლათ ნაყიდი ტყეებს სახელმწიფოთ გვართმევენო. გაიგეს რა ეს კომისიებმა, შეუდგენ საქმის დაწვრილებით გამოძიებას და აღმოჩნდა, რომ აქ არც ერთი სხვილი ტყის მფლობელი არ არის, ვინაიდან უკვე შეუსყიდიათ გურიელ - ჰყონიებისაგან თვით გლეხობას და მომხდარა წვრილათ დანაწილება, მათ აქვთ სამისო აუარებელი საბუთები; ამის გამო კომისიამ შეაჩერა მოქმედება და დაამშვიდა ხალხი და აღუთქვა მოხსენებას გააკეთებს თვით სამინისტროში და დარწმუნებულია აქ არ მოხდება არავითარი ჩამორთმევა, რადგან ჩვენი მთავრობა გლეხების საწინააღმდეგოთ ხომ არ წავაო. ხალხმა მადლობა გადაუხადა.

X.

სოფ. ნორიო და მარტყოფი. (სართიჭალის რაიონი, თფ. მაზრა). საგარეჯოს შემდეგ ამ რაიონში ეს ორი სოფელი განირჩევა სხვა 37 სოფლისგან როგორც სიდიდით აგრეთვე კულტურული ცხოვრებით. მაგ. მარტყოფს აქვს: კოოპერატივი, სასოფლო ბანკი, სასწავლებელი და სამკითხველო. ინტელიგენტური ძალებითაც მაღლა სდგას სხვა სოფლებზე.

21 ივლისს, კვირას ერობის არჩევნები უნდა შემდგარიყო, როგორც ნორიოში, ისე მარტყოფშიაც, მაგრამ დაბრკოლებები მრავალი აღმოჩნდა: კომისარის არჩევა ძლივს მოახერხეს, აირჩიეს ფ. სამქუაშვილი, თანაშემწეთ ვ. ჰოქელაშვილი. გარსო სინჯიკაშვილს, რომელიც წინაკვირას დროებით კამისრად იყო არჩეული, ხალხმა უნდობლობა გამოუცხადა, როგორც ძველ ნაპოლიციელს. ერობაში კანდიდატებად დასახელებულია ის პირები, რომლებთაც საზოგადოების დიდი ნდობა აქვთ დამსახურებული: გ. კანდელაკი კოოპერატორი და მ. კანდელაკი აგრონომი, რომლებიც სახალხო დაწესებულებებში მსახურებენ და პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

სოფელმა აირჩია საბჭო 20 კაცისაგან. არის ოთხი საბარათო 1300 კომლით. ერობის შესახებ საკითხი ჯერჯერობით ღია დარჩა. საზოგადოთ სართიჭალის რაიონში 15 ათასზე მეტი ხმის მიმცემია, და ჯერ კი მცირე ნაწილს მიუღია ბარათები. საჭიროა აქეთ ფხიზელი ორგანიზაციული კულტურულ-პარტიული მუშაობა.

დ. ი ლორთქიფანიძე.

წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი: გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტი“-ს № 3 (22 ივლისი) მოთავსებულია წერილი სოფ. კავთისხევიდან. ამ წერილში ვინმე კავთისხეველი „სტრელოჩნიკი“ ათასგვარ ცილს გვწამებს. ბ. „სტრელოჩნიკს“ ნიშანში ამოუღია აქაური სომხები. თუ მარტო ეს არის ჩვენი დანაშაული, რასაკვირველია, თავის მართლება მეტათ მიგვაჩნია, რადგან ჩვენ გვარ ტომობით სომხები ვართ, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ადგილობრივი მკვიდრნი ვართ და უხსოვარ დროიდან აქ ვცხოვრობთ. მეორე ჩვენი დანაშაული, ალბათ, ის არის, რომ ათ წელზე მეტია, რაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ვეკუთვნით, სხვა დანაშაული ჩვენ არ მიგვიძღვის არავის წინაშე.

ამიტომ მოვითხოვთ გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტი“-საგან გამოვიდეს სამედიატორო სასამართლოში. ვაძლევთ ვადას ერთ კვირას დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა. მედიატორებათ ჩვენის მხრით ვასახელებთ ვასო ცაბაძეს და მინადორა ტოროშელიძისას.

ძმები **იოსებ და ნიკოლოზ მჭედლიშვილები.**

ცნობები

ჯარისკაცი ლადიკო კაპიტონის ძე ორმოცაძე მსახურებდა შავი ზღვის „პოგრანიჩნი“ ბატალიონში. 10 აპრილს მონაწილეობას ღებულობდა სოფ. ვაშნართან (ოზურგეთის ახლოს) ბრძოლაში. აღნიშნულ ბრძოლის შემდეგ მშობლებმა არა იციან რა მის შესახებ. ვსთხოვთ ვინც კი რამე იცის მის შესახებ, შეატყობინოს შემდეგი მისამართით: თფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 149, საკანდიტერო იპოლიტე კაპიტონის ძე ორმოცაძეს.

ვარლამ ილარიონის ძე ჯაში მსახურებდა მეორე ქართულ მსროლელთა პოლკში, რომელი პოლკიც მოქმედებდა ბორჯომის ფრონტზე. მარტიდან არაფერი ამბავი ვიცით. ვთხოვთ ვინც რაიმე ამბავი იცის მის შესახებ, გვაცნობოს ს. ხიდისთავში (ოზურგეთის მაზრა) პრ. ჯაშს, ან და ქ. თფილისში სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს საგანგებო რაზმში (მთაწმინდა, დავითის მოედანი, № 4) პროკოფი ჯაშს.

მოხალისე თედორე ფარსადანის ძე ჯაში გამოჩინებულის სოფლის საზოგადოებიდან მონაწილეობას ღებულობდა სოფ. ვაშნარის ბრძოლაში ოსმალებთან. მას შემდეგ მისმა დამწუხრებულმა მშობლებმა მის შესახებ არაფერი იციან. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ 10 აპრილის შემდეგ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: თფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 19, უშანგი სოფ. ჯაშს.

დიდი ჯიხაიშის სასკოლო კომიტეტი აცხადებს, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან საჭიროა დიდი ჯიხაიშის პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებლისთვის ოთხი მასწავლებელი: ერთი—უცხო ენებისთვის და სამი—საერთო განათლების საგნებისთვის. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ თხოვნებით ხსენებულ კომიტეტს.

დიდი ჯიხაიშის საშკოლო კომიტეტი.
(1—1)

ექიმი ი. გ. კონიევი.
იღებს შინაგან სნეულებით ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3. (24—3)

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეზხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

კ ე რ ძ ო
მიხეილის სამკურნალო

მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167.

ექიმი ლ. ი. ცაგარელი.
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტის შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. მისამართი: ნიკოლაზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

ექიმი ა. დ. ციციშვილი.
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე, დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

ექიმი გ. კლდიაშვილი.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4 კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კირ- ჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ველ-დღეს 12—2 საათამდე.

ექ. ქალი რ. ა. შიშლო-საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით.** დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

ექიმი ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.** ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი გ. ი. მუხაძე
იღებს საღოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—17.

გაიხსნა თვალის სამკურნალო
(მუდმივი საწოლებით)
პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისენტის

ექიმ დონხინისა.

იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

განცხადება

ფინანსთა სამინისტროს კანცელარია წინადადებას აძლევს ყველა საკრედიტო დაწესებულებათ (სააქციონერო ბანკები, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის „ბანკირების“ კანტორები, საურთიერთო ნდობის საზოგადოებები, ქალაქის საზოგადო ბანკები, საკრედიტო და შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობები, ლომბარდები და სხვ.), რომელნიც იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილებაში თავიანთი წესდებები და მისამართი, აგრეთვე წარმოდგენილ უნდა იქნას ყოველთვიურათ ბალანსი, დაწყებული 1 ივნისიდან ამა წლისა.

კანცელარიის დირექტორის თანამდებობის დროებითი ამსრულებელი
(1—1) დ. აფხაზი.

განცხადება საქონლის გამცვლელი კომიტეტისა

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებული საქონლის გამცვლელი კომიტეტი სთხოვს ყოველგვარ სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებს და პირებს ორი კვირის ვადაში წარმოუდგინონ ზემოხსენებულ კომიტეტს (ტფილისი, ჭავჭავაძის ქუჩა, № 2) სია (რაოდენობა და ხარისხი) იმ საქონელთა, რომელიც მათ სურთ შეიძინონ გერმანიიდან, ვინაიდან კომიტეტი ამ მოკლე ხანში გზავნის გერმანიაში კომისიას საქონლის ყიდვის და გამოტანის მოსაწყობათ. საქონლის შემოტანა ამ კომისიის გარეშე გაძნელებული იქნება.

კომიტეტის თავმჯდომარე მინისტრის ამხანაგი გ. ნიკოლაძე.
მდივანი თ. ჭიჭინაძე.

სახელმწიფო თეატრი

საჭიროა **ოპერის ხოროსათვის** მსურველები მამაკაცები. ხმების გასინჯვა 5 საათიდან 6 საათამდის სახელმწიფო თეატრში, ყოველ დღე. 3—1

განცხადება

სურფ-კარაპეტის აღმართზე, მუხრანის ხიდის მახლობლათ **ისყიდება** სარდაფი სრული თავის მოწყობილობით. მსურველთ ყოველ დროს შეუძლიათ ცნობა მიიღონ აქვე. (2—1)

ქალაქის თვითმართველობა

იწვევს ექიმებს, რომელთაც სურთ დაიჭირონ **ხასწავლებლის ექიმის ადგილი** ქალაქის შკოლებში. თხოვნების მიღება ხდება მედიკო სანიტარულ ბიუროში ქალაქის თვითმართველობაში დილის 10 დან 2 საათამდე. უკანასკნელი ვადა თხოვნის მიცემისა 20 აგვისტოა. (2—1)

დემოკრატიული კლუბი (მუშტაიდში)

ოთხშაბათს, 31 ჟლათთვეს 1918 წ.

„ქართველ მომღერალთა გუნდი“ **მიხეილ კავსაძის** ლოტბარობით
მართავს 3 განყოფილებიან

სახალხო კონცერტს

გუნდი შეასრულებს ძველ სახალხო სიმღერებს და სხვათა შორის გლეხურ ცხოვრებიდან „ჭონას“, „კახურს“, „ზამთარს“, „ფერხულს“ და „ცანგალას“.
მონაწილეობენ: ძმ. კავსაძენი, ჯანჯიერი, უსტიაშვილი, სალირაშვილი, ინასარიძე და სხვანი.

გამგე: ნიკო კავსაძე. დაწვრილებით პროგრამებში.
დასაწყისი საღ. სრულ 7 ნახ. საათზე. (2—2)

სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის ქ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.

[illegible] მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.